



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

SEPTEMBRE

1929—№ 45

სექტემბერი

1929 წ.

№ 45

დავით აღმაშენებლის

ს ა კ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ყენევის პერსპექტივები.
ივ. წ—შვილი—განცდილის ფიქრები.
—ლი—გ—საქართველო ციფრებით.
ა. მუღვინი—უკრაინის საკითხი.

ს. შავიშვილი—კომინტერნის აგენტ. საქ. ყენევაში.
უცხოეთის მიმოხილვა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
კასაბურენი—მოგვები. და სხვ.

შ ე ნ ე ვ ი ს პ ე რ ს პ ე მ ტ ი ვ ე ბ ი

ერთა ლიგის მეათე წლიური ყრილობა უთუ-
ოთ ისტორიული თარიღია ამ საერთაშორისო დაწე-
სებულების ცხოვრებაში. მას ვერ შეედრება ვერც
პირველი წლიური ყრილობა, წელიწადი დაარსებისა,
როცა ჯერ კიდევ სისხლ-შეუმშრალი ღონემბდელი
კაცობრიობა მისგან ელოდა ხსნას. და ეს იმიტომ,
რომ სწორედ ამ მოლოდინს, ამ გაშვებულ ხელებს
ზურგი შეაქცია თვით დამაარსებელმა, ან უკეთ-
შეერთებულმა შტატებმა, და ვილსონი კი ზედ გა-
დაყვა ჯავრისაგან.

მაგრამ ყენევას ხომ ჰააგა უძღოდა წინ! უჰააგოთ
კი ყენევა არამც თუ ისტორიული თარიღი არ იქნე-
ბოდა, ის ჩამორჩებოდა წინა წლებსაც როგორც გა-
რეგნობით, ისე შინაარსით. მართალი სიტყვა ბრიან-
სმა: ჰააგა რომ ჩაგვშლოდა, აქ ცხვირს ვერ გამოვ-
ყოფდითო!

დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა ჰააგა-
ში. და ეს არა იმ მხრივ, ვითომ იონგის გეგმა
იდეალურ რამეს წარმოადგენდეს, ან კიდევ, ვითომ
ჰააგაში გაჩაღებული ბრძოლა «ტყავის გაყოფაზე»
სასახლო რამ იყოს თუ გინდ იმავ «ტრავაისტ-
ნაციონალისტს» სნოუდენის თვის... პირიქით,
მისი შედეგები თვით «იანკებსაც» გააწითლებს, რა-
ცა დრო მოვა. მართლაც და, ვერსალის წავით გერ-
მანიას უნდა აენახლაურებია ომის ზარალი და არა
ხარჯები, იონგის გეგმით კი უდიდესი ნაწილი მილი-
არდებისა სწორედ ამ ხარჯებს ფარავს, და უნდა
ჩაუჩხრიალდეს ამერიკას ხელში, ვალების სახით. ეს
ქმნის ბატონ-ყმურ ურთიერთობას ევროპასა და
ამერიკას შორის, პირველი ყმაა, მეორე-ბატონი,
თითქმის ორი თაობის განმავლობაში.

ჩვენ გვეჩრდა ერთხელ შემთხვევა გვეთქვა, რომ,
თუ ჰააგა შეთანხმებით გათავდა, ომის პოლიტი-
კური ლიკვიდაცია მოხდებოდა. ეს დღეს ფაქტია,
არავინ დაობს. რენანიის ოკუპაციას ბოლო ედება,
ჯარების გაყვანის უკანასკნელი ვადა 30 ივნისისა

1930 წ. ამ რიგათ, ბოლო ედება არანორმალურ
მდგომარეობას, ევროპას რომ მაჯლაჯუნად აწვა
გულზედ, ათი წელია. რაც შეეხება ომის ფინანსიურ
ლიკვიდაციას, ეს გრძელვადიანია, როგორც ვთქვი-
თ, მაგრამ იმავე მიზეზით, რომ კრედიტორი ამერიკაა
და საფრანგეთს მხოლოდ თავის ზარალის ნახევრის
დაფარვა თუ მოუწევს, გერმანიის დაახლოებას მას-
თან არაფერი უდგას წინ და, მანასადამე, ევროპის
პოლიტიკური სტაბილიზაცია უზრუნველყოფილია.
აი, ეს გახლავთ საერთაშორისო აღმოსფერა,
რომელიც შექმნა ჰააგამ და რომლის პირველი ნაყო-
ფი ყენევამ იგემა. აქედან დიდი პერსპექტივები, იმე-
დები... ისტორიის ახალი გვერდი გადიფურცლოა—
ამბობს ზოგიერთი ვატაკებულნი.

ერთა ლიგის დანიშნულება, მისი დედა-აზრი და
გამართლება მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში
მდგომარეობს. ამისათვის არსებობს სამხარისო საშუა-
ლება: უშიშროება, არბიტრაჟი, განიარა-
ლება. პირველ ორის შესახებ თითქო მიღწიეს
ერთხელ შეთანხმებას, დასწერეს ცნობილი «პრო-
ტოკოლი», მაგრამ დაეცა ტრავაისტების კაბინეტი
ინგლისში და კონსერვატორებმა უკუაგდეს იგი. ხო-
ლო თუ უშიშროება და არბიტრაჟი არ არსებობს,
გამარჯვებულნი სახელმწიფონი არ სთანხმდებიან
განიარაღებაზე, და უკვე ცხადია, რა გუნებაზე უნდა
დამდგარიყო განიარაღებული გერმანია, რომელიც
ამ კითხვაშიც მოტყუებული რჩებოდა ვერსალის ზა-
ვის ავტორთაგან. აქედან ერთ ადგილზედ ტკეპნა,
ქალაქის გორები, უსაგნო კამათი, მოსკოვშიდ კუ-
ნტრუში და სხ.

ჰააგის შედეგებმა თითქო შექმნა პირობები მო-
რალური განიარაღებისათვის, და ამას ხომ ვინ არ
მოითხოვდა, როგორც გარანტიას ფიზიკურ განი-
არაღებისა? ფრანგებს გაჰყავთ თავისი ჯარები გერ-
მანიიდან ხუთი წლით ადრე და ეს ხომ მჭერ-
მეტყველი ფაქტია იმის დასამტკიცებლათ, რომ ისი-

ნი ერთგვარ უშიშროებას გრძნობენ და თან თითქო სჯერათ, რომ გერმანია მორალურათა განიარაღების გზას ადგია.

აი, რა დროს უხდება დიდ-ბრიტანეთს შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკება საზღვაო ძალების პარტიტის შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა ჟენევაში, რომ ოცი საღამო მუხლიდან მხოლოდ სამი დავგრჩა მოუგვარებელით, და ამით მან გამოიწვია მთელი ლიგის აღტაცება. ეს მეორე უდიდესი ფაქტია, რომელიც დაჩქარებს, ცხადია, განიარაღების კითხვის მოწესრიგებას ლიგის მიერ.

მაგრამ მაკდონალდის კაბინეტს უმრავლესობა არა ჰყავს თემთა პალატაში—იტყვიან, არ არის გამორიცხული, რომ კონსერვატორები ისევ თავდაყირა დაყენებენ მის გეგმას, ხოლო ნუ დავივიწყებთ, რომ ამერიკასთან შეთანხმება მარტო ტრავაისტების საპროგრამო მუხლი რადია, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვაა დიდი ბრიტანეთის იმპერიისათვის.

ჩემბერლენს, ჰენდერსონის წინა-მოადგილეს, თითქო არაფერი დაუშავებია, ლოკარნოს ერთი ავტორთავანი იყო, ნობელის ლორეატია... რას უსაყვედურებენ მას? ანტატა განახლავ, ევროპას ებღაუქებო. ტრავაისტების კაბინეტმა ერთის დაკვირვით გააუქმა «ანტატა»: ჩემთვის სულ ერთია საფრანგეთი თუ გერმანია, ორივეს კარგი მეგობარი მინდა ვიყო—ამბობს ის. ამით, რასაკვირველია, არ ჰქრება ლოკარნოს პაქტი, რომლის ძალით ინგლისი და იტალია უზრუნველყოფენ დღევანდელ საზღვრებს არა მარტო გერმანიის, არამედ ბელგია-საფრანგეთის მხრითაც. მეორე მომენტიც—ევროპის საქმეებში ნამეტანი ჩაფლვა—არ ეგუება ინგლისის დღევანდელ ტენდენციებს,—აქაც აულა მაკდონალდმა ალღო მდგომარეობას.

და ამით აიხსნება მესამე დიდი სენსაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჟენევაში: ბრიანის გამოსვლა. ჩვენ ვერ შევხვებით თვით სიტყვას, შესანიშნავს და გულჩამთხრობს, გვაქვს მხოლოდ მხედველობაში ბრიანის მიერ გადასროლილი ლოზუნგი: ევროპის ფედერაცია. გარნა მაკდონალდმა ადრე წარმოთქვა იგი, უფრო როგორც სოციალისტმა, ვინემ პრემიერმა, და მყისვე დასძინა—ლოზუნგი ბრიანისაა!

ცხადია, ბრიანმაც ჩინებულათ აულა ალღო ევროპის სულიკვეთებას. ევროპა გრძნობს, შეიძლება არა იმდენათ მთავრობანი, რამდენათ ერნი, დემოკრატია, რომ მას ევლინება ახალი საშიშროება: დოლარი! და ბრიანიც ეუბნება მას, ევროპას: შეერთდი! როგორ ფიქრობთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს? დიდს, განუზომელს.

რა თქმა უნდა, ბრიანი და სხვებიც უარობდენ, რომ ეს ლოზუნგი მიმართულია «დოლარის» წინააღმდეგ, მაგრამ ამის დამჯერებ მათ ცოტა ჰყავდათ!

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპის ფედერაციას თავის თავათაც, დამოუკიდებლათ, თავისი ღრმა აზრი და მნიშვნელობა აქვს. ამაზე ილაპარაკა შტრეზემანმა თავის ტაქტიკით აღსავსე სიტყვაში. ის პრაქტიკულათ მიუდგა კითხვას და სთქვა; რომ

შესაძლებელია განხორციელდეს ეკონომიური და არა პოლიტიკური ფედერაციაო.

მაგრამ ვინაიდან ევროპა არ ფარავს მსოფლიოს, ხოლო ერთა ლიგა უკანასკნელის ორგანოა, კითხვა ჯერ თვით დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა უნდა შეისწავლონ და დაამუშავონ. და წინასწარი ნაბიჯები კიდევ იქმნა ამ მხრივ გადადგმული. ბრიანმა გამართა კერძო თათბირი ევროპის 27 სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. სადაც შეთანხმდნ ამ შესწავლის და დამუშავების წესსა და მეთოდებში. გაიხსათ, მეთერთმეტე წლიურ ყრილობის დროს, ბრიანმა უნდა წარმოადგინოს ჟენევაში საერთო მოხსენება, რაიცა განდება ბაზა ნამდვილ მოლაპარაკებისა.

როგორც ხედავთ, ჯერ დიდი არაფერი გაკეთებულა. ვიმყოფებით იმედების. ბუნდოვან იმედების სფეროში, მაგრამ ეს არ გვიშლის, თავისი წონა და ღირებულება არ დაეუკარგოთ გადასროლილ ლოზუნგს, რომელიც უთუოთ გამოიწვევს საეპოქო ამოძრავებას და ამუშავებას ძველი ევროპის კოლექტიური და ინდივიდუალურ ძალებისას.

ისიც უნდა ითქვას, ევროპის ფედერაცია რომ განხორციელდეს, მაშინ განიარაღების კითხვასაც დაეკარგებოდა. მსოფლიოს ერთნაწილში მაინც, ადრინდელი სიმწვავე. მაგრამ, სანამ ეს არ მომხდარა, ადვილათ ასახსნელია, თუ რატომ უცდიან ასე მოუთმენლათ ინგლის-ამერიკის საზღვაო შეთანხმებას.

ჯერ-ჯერობით ისიც დიდი ნაბიჯია, რომ მაკდონალდმა, მის შემდეგ ბრიანმა და შალიამ (იტალია) საჯაროთ განაცხადეს, რომ ისინი იღებენ ჰაავის არბიტრაჟს საერთაშორისო უფლებების საღამო კითხვებში. აგრეთვე იმედი აქვთ, უკანასკნელათ შემუშავებულ ფორმულის თანახმათ, ამერიკაც შეუერთდებოდა ჰაავის არბიტრაჟს; გერმანიას უკვე ხელმოწერილი აქვს, რჩება ერთი იაპონია დიდებიდან. რაც შეეხება პატარა სახელმწიფოებს, ისინი ხომ თავიდანვე მომხრენი იყვენ და არიან.

უკანასკნელი მნიშვნელოვანი წინადადება, რომელიც შემოიტანა მაკდონალდმა და დასაბუთა ჰენდერსონმა, არის შეთანხმება კელოგის პაქტისა ერთა ლიგის პაქტთან. საგულისხმიეროა, ამბობდენ წინადადების ავტორები, რომ პირველი სრულიად კრძალავს. კანონის გარეშე აყენებს ომს, ხოლო მეორე მაინც სტოვებს მის შესაძლებლობასო.

აი, აქ ნათლათ მკლავნდება ანგლო-საქსონური და რომანული მიდგომა კითხვისადმი! ანგლო-საქსები უფრო მორალს აწვებიან, თუმცა კბილებამდე შეიარაღებულნი არიან მართლაც, კელოგის პაქტი კი კრძალავს ომს, საერთაშორისო უფლებით ომი დანაშაულად ცხადდება, მაგრამ მის დამრღვევისთვის არავითარი დასჯა არაა გათვალისწინებული. სულ სხვაა ლიგის პაქტი. იქ მარტო მორალი არაა საქმე, არამედ დასჯა (სანქციები). ფრანგები სწორეთ ამიტომ ებრძვიან ჟენევის დაწესებულების უბრალო საქადაგებელ ტრიბუნად გადაქცევას. დიან, უნდა განვიარაღდეთ, ამბობენ ისინი, მაგრამ ჯერ მოგვეცით ძლიერი ერთა ლიგა, რომელსაც შეეძლება დამნაშავე დასაჯოსო. რალა გავაგრძელოთ, ეს ორი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს და, უდაოა, ამ



ბრძოლიდან ლიგა გამარჯვებული გამოვა, როგორც გამწესებელი ორგანო.

ამის ნიშნები უკვე დაინახეთ ზევით არა ერთი. ქენევის პერსპექტივები დიდია, ზოგიერთი მიღწევანი უკვე წესრიგშია და, საყურადღებოა, სათავე დემოკრატიის გაძლიერებაა ჯერ გერმანიაში. შემდეგ ინგლისში; ესაა საფრანგეთის ჯგერა, რომლის დღევანდელი პრემიერი, პირადათ ძველი სოციალისტი, მხოლოდ წინამორბედია ამისი.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამას ჩვენთვის?—იქნება შემოგვიჩვენოს მკითხველმა. ამდენი საყურადღებო დეკლარაცია გაკეთდა, ამდენი აღფრთოვანება, და ჩვენ კი, საბჭოთა კავშირის დამოწმებული ერები არავის უხსენებია! გულდამწყვებია, ცხადია.

და მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც დიდის იმედე-

გ ა ნ ც ლ ი ლ ი ს ფ ი ჯ რ ე ბ ი

გახსოვს. მკითხველო, რევოლუციის პირველი ხანა? მიტინგები და სხდომები, სხდომები და მიტინგები, სიტყვები, სიტყვები და კიდევ სიტყვები. გრანობამ, აზროვნებამ, ქცევამ,—ყველაფერმა იცვალა სახე ერთბაშად და ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, შეიცვალა ყველა ამის გამომქმელი იარაღი—სიტყვა და ენა. ხმარებაში შემოვიდა იმდენი ახალი სიტყვა, ისეთი ტერმინოლოგია, სიტყვების ისეთი ლაგება, რომ ვინმე რევოლუციის წინ გადაცვალებული მკვდრეთით რომ ამდგარიყო, ამ ახალის ენით, ახალის სიტყვებით მალაპარაკეთ ვერას გაუგებდა.

დიდ ხმარებაში იყო. სხვათა შორის, და ყველას პირზე ეკერა სიტყვები: «რევოლუციის მონაპოვარი».

«რევოლუციის მონაპოვარი!» მართლა და კარგად არის გამოთქმული და გამოხატული თუ სინამდვილე არა. ის იმედები მაინც, რომელსაც ქვეყანა რევოლუციას ამყარებდა. უმონაპოვაროდ ხომ აზრიც ეკარგებოდა რევოლუციას.

ღიალ, რევოლუციის საშუალებით უნდა ეპოვნა ხალხს ახალის ცხოვრების გზები, კმაყოფილების და ბედნიერების ახალი საშუალებანი...

განვლენ დღენი და თვენი, განვლენ წელნი და... დღეს ყველა ეს მონაპოვარი გამოიხატება ხალხის გაუფონარ და აუტანელ ტანჯვაში, მის უნახავსა და წარმოუდგენელს გაჭირვებასა და გაწბილებაში და კიდევ რამოდენისმე ათასის სულის სამშობლო კერას მოგლეჯაში და ცხრა მთას აქეთ გადმოვარდნაში.

რევოლუციის მონაპოვარი...

ნუ აჩქარდები, მკითხველო. არა, ნუ გვწამებ სულმოკლეობას. ჩვენც ვიცით, რომ ქვეყანა ჩვენით არ თავდება, რომ დიდ მოვლენათა შესასრულებლად დროც დიდია საჭირო, რომ ეს დრო არ განიზომება ადამიანთა სიცოცხლის მანძილით. ჩვენც გვჯერა, რომ რაც უნდა დუხჭირი მსვლელობა მისცემოდეს ძალზე ამოძრავებულ ცხოვრებას, რაც უნდა უწყსოდ დაგორავდეს ამ აზვითებულ ოკეანეს უშველებელი ტალღები, მას რალაც იდუმალი კანონები განაგებენ და, ერთ დღეს იქნება, ეს უსახლერო ზღვა დაწყნარ-

ბით უნდა შევყურებდეთ ერთა ლიგის დაეჯკაცებას. რატომ? იმიტომ რომ მხოლოდ სინორჩე და სისუსტე უშლიდა და უშლის მას ხელს შეეხოს ისეთ დიდ კითხვას, როგორიც დედამიწის «მეექვსედის» კითხვაა. კავშირი არ უხსენებიათ, თითქო არ არსებობს. და იმავე დროს ყველა გულისხმობდა, რომ მის ჩაუთრეველათ მშვიდობიანობა არაა უზრუნველყოფილი.

მაშასადამე, ეს კითხვაც შევა წესრიგში. ჩვენი კითხვა ხომ სდგას ფორმალურათაც, საქართველოს «ნორმალურ პირობებში დაბრუნება» მინდობილი აქვს ლიგის საბჭოს. აქედან წარმოსდგება ჩვენი მოვალეობაც, ვიყოთ მუდამ ქენევაში, ვიმოქმედოთ, რომ შესაფერ მომენტში დაკმაყოფილება მივიღოთ. საქართველო იყო და უნდა დარჩეს პირველი კანდიდატი ლიგის წევრობისა.

დება, დაილევება ამოძრავებულ სტიქიონის მიერ ამოტივტივებული სიბინძურე და მაშინ, მხოლოდ მაშინ, დაინახავს ადამიანი, თუ რა შესძინა რევოლუციამ, რა «იპოვა» მან ამ რევოლუციის წყალობით.

მაგრამ... მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ აბობოქრებულ ზღვაში ჩვენის ერის პატარა ნავი სხვის დიდს, ვებერთელა ხომალდს აღმოჩნდა მიბმული და ძალაუნებურად მის სვლას აყოლებული.

იყო წამი, ბედნიერი და დაუფიწყარი, როდესაც შევძელით ჩვენის ნავის მოხსნა. მოვხსენით, რადგან ვიცოდით და დარწმუნებული ვიყავით, ნავი მჭიდროდ იყო შეკრული და შეიძლება აღელვებულ ზღვის გავლას და მყუდრო ნავთსადგურში შესვლას, მაგრამ დიდ ხომალდზე მყოფთ, რომელთაც ვერც ხომალდი გამოადგათ კარგი ნაშენები, ვერც მისის მართვის უნარი და ცოდნა აღმოჩნდათ, არ დაგვაცალეს ცალკე, მათთან დამოუკიდებელი სვლა და ისევ მიჯაჭვეს ჩვენი პატარა ნავი თავიანთ დიდ ხომალდს.

და აი, ათამაშებენ ამ საცოდავ ნავს ოკეანეს ულმობელი ტალღები და შთანთქმას ემუქრებიან ამ ნავზე მყოფთ.

«რევოლუციის მონაპოვარი!»

ღიალ, გვჯერა, რევოლუციას გადარჩება რალაც და ეს რალაც დიდი იქნება და დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ საჭიროა ამ მონაპოვართან ერთად გადარჩეს მკოვნელიც, საჭიროა გადარჩეს ერი, შეინარჩუნოს თავისი ფიზიკური არსებობა, სიცოცხლე.

ძლიერ გვიყვარს, მკითხველო, შენცა და მეც, ყოველსავე მოვლენას რამე მაგალითი გამოუქმნოთ ხოლმე. შედარებითი მეთოდი ჩვენის გონების თანდაყოლილი თვისებაა. ამიტომ ჩვენ თვალის წინ მომხდარ რევოლუციას, მის ცალკე მომენტებს, წამდაუწყუმ სხვა დიდ რევოლუციას ვადარებთ და ამ უკანასკნელის გადასავალთ უჭირბოლოდობაში, ის კი გვევიწყდება, რომ იმ რევოლუციის მაწარმოებელი ხალხი გაერთიანებული ერი იყო, ერთის ტომისა, ომბოგენური; რომ ეს ერი თავის ბედს კმართავდა, სხვას ძალად არ ითრევდა, მომყევ, ჩემი ბედი გაიზიარე, მას დაემორჩილეო.



და უფრო კიდევ გვაიწყობება, რომ იმ ერს წინააღმდეგე ჰქონდა გარკვეული მისალმევი საგანი: განთავისუფლება პიროვნებისა, განთავისუფლება მისის სინიდიისა, რწმენისა და სიტყვისა, ადამიანთა განათანასწორება, ერთის სიტყვით, იმ იდეალების მიღწევა, რომელსაც კაცობრიობის საუკეთესო შვილნი სიცოცხლეს სწირავდნენ საუკუნეთა განმავლობაში. ის რევოლუცია მათის ნაზრისა და ნაშრომის, მათის ღვაწლისა და მსხვერპლის დაგვირგვინება იყო.

დაიარეთ ევროპის მუხუთები და ტაძრები, დაათვალიერეთ ეს შეუღარებელი საუნჯენი,—მხატვრობისა და ქანდაკებათა გალერეები, წიგნთსაცავები, სალაროები და საცავები ყოველნაირ საგნებისა ნიურენბერგის ერთ-ერთ მუხუთში მოთავსებულ საწამებელ იარაღთა კოლექციამდე, და თქვენ თვალის წინ საესებით დაიხატება ის ნელი, დაუსრულებელ გძელი, მაგრამ დაქინებული სვლა, რომლითაც ვიდოდა კაცობრიობა; წინსვლა განკარგებისადმი და ამაღლებისადმი. და ხელოვნებაში თუ ქანდაკებაში, სწავლაში თუ ძიებაში, ერთის სიტყვით, გონების საასპარეზო ყველა დარგში, მიუხედავად მის მრავალფეროვანობისა და ყოველმხრივობისა, თუ ძლიერ დააკვირდებით, მხოლოდ ერთს დაინახავთ,—ბოროტებასა და ბიწიერებასთან ბრძოლას, სათნოება და სიკეთისადმი მისწრაფებას. ყველაფერი, რაც გრძობასა და გონებას უქმნია საუკუნეთა განმავლობაში, მხოლოდ ამ ორის აზრით არის გამსჭვალული, ხოლო ორივე სახეა ერთისა და იმავე მისწრაფებისა განუკეთესებისაკენ, განმაღლებისაკენ, ვარსკვლავთა დაანთავისუფლებისაკენ.

ადამიანთა განათანასწორება, პიროვნების, მისის სინიდიის და სიტყვის განთავისუფლება,—ყველა ეს მიღწეული იყო და მოპოვებულიო. სთქვათ იქნება, და ამიტომ ახალმა რევოლუციამ სხვა საგანი დაისახა, სხვა ბოროტებას შეებრძოლაო...

კაცობრიობის ცხოვრება მუდმივი მოძრაობაა; ცხოვრება დენა არისო, სთქვა ჯერ კიდევ ძველის საბერძნეთის ერთმა ბრძენმა. უღრმესი ჭეშმარიტებაა. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც უკანასკნელი რევოლუცია დატრიალდა, ამ რევოლუციამდე არა თუ არ იყო განხორციელებული ეს თავისუფლება, არამედ ის იყო ქვეყანა პირუტყვეულ სიმუხჯისა და სინიდიის და სიტყვის დაჩაგრულობისა.

იმ ქვეყნისათვის ამ თავისუფლების მოპოება იქნებოდა უკვე დიდი და ნამდვილი მონაპოვარი, დანარჩენებისაკენ მომავალი თაობანი გასწევდნენ უღელს, რაკი თავისუფალნი თავისუფალის სიტყვის გაცვლა-გამოცვლით უფრო კარგად გაირკვევდნენ მომავალისკენ გზას.

მაგრამ კაცობრიობის უბედურობაც ხომ ის იყო მუდამ, რომ, იჩენდა თუ არა თავს რამე საღი აზრი, წინ უნდა გადადობებოდა უგზურება, თავხედობა, ავსულობა, კანდიერება და, რაც უარესია, ცალკე პირთა ცრუ და მდაბალი პატივმოყვარეობა.

აქაც, გაისმა თუ არა პირველი რევოლუციური ხმა, გაჩნდნენ ცრუ წინასწარმეტყველნი და ხალხის აღტყინებულს გრძობას წინ დაუყენეს მიუღწეველი, მათთვისაც გაურკვეველი და ბურუსში გახვეული,

ხოლო ბნელიდგან გამოსულ ხალხისათვის ხომ სრულებით მიუწდომელი და მისის გონებისათვის ვერ მოსანელებელი საგანი.

პერსპექტივის დაკარგვით და გატაცებით მოსდიოდათ თუ მიზენი სხვა იყო?

გატაცება იმით განსხვავდება დამჯდარ აზრისაგან, რომ ისევე მსწრაფლ წამავალია, როგორაც ჩქარია მისი მოსვლა. სინამდვილეს ძლიერ მალე მოჰყავს გონზე გულწრფელად გატაცებული. 12 წელიწადი კი მეტად დიდი ვადაა არა თუ გატაცების დასაცხრობად, არამედ იმისთვისაც კი, რომ შემუშავებულმა აზრმაკი იცვალოს სახე და გვნი.

და თუ რევოლუციის მმართველნი დღესაც ვერ განთავისუფლებულან პირვანდელ გატაცებისაგან, ის არ ყოფილა გატაცება, არამედ ცინიკური და მდაბალი პატივმოყვარეობა და ქინი ხალხის ნდობის მოსახვეჭად რევოლუციურ გატაცების სახით გასაღებულიო.

და აი, ასეთის რევოლუციონერების ხელთ არის დღეს ჩვენის, ისედაც მრავალწამებულის ერის ბედი.

რა კარგს დააყრიან ეს ახლად მოვლენილნი წინასწარმეტყველნი ჩვენს ერს, როდესაც თავისსაც კი წაართვეს ის, რაც უნდა ჩათვლილიყო რევოლუციის უპირველეს მონაპოვარად და რაც განათლებულ ხალხებისათვის მკვიდრ მონაპოვარს და ცოცხალ სინამდვილეს წარმოადგენს.—სინიდიის და სიტყვის თავისუფლება!

რა სიკეთეს უნდა ელოდეს ჩვენი ერი იმათგან, ვინც პირველზედა აღიარეს ხალხთა უფლება თავისუფლად არსებობისა, იცნეს ამიტომ ჩვენის ერის დამოუკიდებლობა და თვითვე დათრგუნეს ეს დამოუკიდებლობა!

რა ბედნიერებას უნდა გამოელოდეს ჩვენი ერი იმათგან, ვისაც ძველის რეჟიმის არსენალიდგან გამოტანილი დაქანგებული იარაღი გაუღესავს და მოუღერებია მისთვის, რომ გაანადგუროს და გააცანტვროს.

დევნა ენისა, დევნა მის ჩვეულებათა, მის საუკუნოებში შემუშავებულ და შესისხლხორცებულ ზნეობრივ წარმოდგენათა და მის ეროვნულ ერთობის გასაბზარავად და დასაშლელად მისევა, ჩათესვა და დაწინაურება ისეთის ტომების ელემენტებისა, რომელნიც იმდენს თავის მოწყობასა და ბედნიერებას არ სცდილობენ, რამდენს ჩვენს დაშლასა და უბედურობას.

«რევოლუციის მონაპოვარი!» ეს იქნებოდა ჩვენის ერის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება, რომლის ფარგლებში ის თვითონ მოავგარებდა და ბედნიერების გზით წაიყვანდა თავის ცხოვრებას. ამის თავდება მისი ინსტინქტი, მისი საუკუნოებით შემუშავებული რასიული თვისებები,—თავისუფლების სიყვარული, პატივისცემა ადამიანურ ღირსებისადმი, თანდაყოლილი გრძობა კულტურისა და ცივილიზაციისა, ერთის სიტყვით, იდუმალი ხმა მის ძარღვებში მჩქეფარე მოდგმათა დაუბოლოვებელ რიგის კეთილშობილურ და რაინდულ სისხლისა.

და აჰა, ამ პატარას, მაგრამ ლამაზ და მაღალ



სულოვანს ერს აუტანელის სიმძიმით დააწვა ბარბაროსულის მსოფლმხედველობის მეთაურთა წინამძღოლობით უზარმაზარი ხალხი.

ბარბაროსულის მსოფლმხედველობისა, რადგან ჩვენის ერის დამოუკიდებლობის საკითხში ეს ახლად მოვლენილი გამგებელნი დღევანდელ ვითარებისა ძველის რეჟიმის წარმომადგენლებზე უარესი გამოდგნენ,—არ მოიპოვება ძველის რეჟიმის წარმომადგენელი, რა გინდ უკიდურესი იყოს, დასტური არ დასცეს და ტაში არ დაუკრას რევოლუციის ამ მესვეურთ და ბატონებს.

მაშ უიმედობა? არა, მკითხველო!

იმედი! იმედი! რადგან მირავალი და დიდი უბედურება გამოუვლია ჩვენს ერს, ბევრჯელ სიკვდილის კარს მიმდგარა, მაგრამ უძლეველი ყოველნაირი გასაქირი და გზაზე გამოსულა.

იმედი, რადგან ნელის, ძლიერ ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ იწევეს ხალხთა სოლიდარობის აზრი.

იმედი და მუდამ იმედი, რადგან უიმედობას არა უშენებია რა ამ სოფლად და იმედია მხოლოდ რომ სურვილს ფრთას ასხამს და არსებულ ძალას აასკეცებს.

ოღონდ მაშინ არის ასეთი ძლიერი და ნაყოფიერი იმედი, როდესაც მებრძოლთა გამბრუნებულ და ერთსულოვანობაზეა დამყარებული, როდესაც ყველას, პირველიდან უკანასკნელამდე, მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ წვრილმანი ანგარიშები, წვრილმანი თავ და პატივმოყვარეობა, უმნიშვნელო სხვადასხვაობა უკუგდებული და დავიწყებული უნდა იქმნას, და თვალი და გონება საერთო საგნისაკენ, საერთო მიზნისაკენ მიპყრობილი.

ივ. ზ—მიცილი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ვ რ ი ბ ი თ

(ნდა ჩვენი ქვეყნის გრძელვად მკურნალობის მიმდინარეობის)

(გაგრძელება)

4.

როგორც წინა წერილიდან დავინახეთ, საქართველოს მოსახლეობის 77,7 პროცენტი სოფლადა ცხოვრობს, ქალაქ ადგილებში-კი მხოლოდ 22,3 პროც. თავისთავად ცხადია, რომ მოსახლეობის ასეთი დანაწილება ბუნებრივი შედეგია იმ ეკონომიურ სტრუქტურის, რომელიც ჩვენს სამშობლოს ახასიათებს და მას წმინდა აგრარულ ქვეყნების რიგში აყენებს. ასეთი ერთობ ნაგვიანებათ ჩამორჩენილი აგებულიობა საქართველოს ეკონომიკისა, უმთავრესად შედეგი არის იმ იძულებითი ეკონომიურ პოლიტიკისა, რომელსაც ას წელზედ მეტია განიცდის ჩვენი ერი, და რომელიც გამოიხატება იმაშიც, რომ ხელოვნური ზომები იყო მიღებული, რათა ჩვენში ქალაქური წარმოება-ინდუსტრია არ აღორძინებულიყო.

და რას ნიშნავს თანამედროვე ეპოქაში იძულებით აგრარულ ქვეყნად დარჩენა? სულ პირველად ეკონომიურ მონობას და კისერზედ იმ ქვეყნის უღლის დადებას, რომელიც აწვდის ჩვენს ხალხს მისთვის აუცილებელ ქალაქის ნაწარმოებს. ამ უბედურობას, ბუნებრივად, მეორეც მოსდევს: დამარცხება თვით აგრიკულტურულს სფეროშიც; დამარცხება იმ აგრიკულტურულ ქვეყნების მიერ, სადაც სასოფლო მეურნეობა ხელიხელთ ჩაკიდებულია ადგილობრივ საქალაქო მრეწველობასთან და ან, თუნდაც, ეს მრეწველობა, ჯერ-ჯერობითვე მცირეც იყოს, გააჩნიათ დიდძალი თავისუფალი მიწები და მოსახლეობა-კი, შედარებით, მცირე ყავთ. ამნაირს ქვეყნებში იბადება პირობები აგრიკულტურის უფრო მაღალ ფორმებზედ გადასვლისა, სოფლ. მეურნეობის ინტენსიფიკაციით. და თუ ინტენსიფიკაციას ჯერ არა აქვს კიდევ მოწიფებული სათანადო პირობები, ხდება სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია და მაშინიზაცია. ამნაირს ქვეყნებში უარესად აქვს ადგილი სოფლის მეურნეობის თვით ღირებულობის დაკლებას, რადგან აგრიკულტურის მაღალ ფორმებზედ გადასვლა

და ფართო მასშტაბით მანქანების შემოღება, სულ პირველად, არის ნაკლებ მიწის სივრცეზედ მეტის და უფრო მაღალი ღირებების მოსავლის მიღება და მისი გაიაფებაც.

ამნაირ ქვეყნების სოფლის ნაწარმოები დიდს კონკურენციას უწევს ჩვენისთანა ჩამორჩენილ აგრიკულტურულ მხარეს, სადაც მიწის სივიწროვესთან ერთად, არც ქალაქურად განვითარებული წარმოება არსებობს. ამ კონკურენციას ის ქვეყნები გვიჩენენ არა მხოლოდ მსოფლიო ბაზარზედ, არამედ შინვე, შიგ საქართველოს ფარგლებშივე. ეს კი იწვევს მთელ დარგ წარმოების შემცირებას და ხან მოსპობასაც. ასე შემცირდა ჩვენში 1870 წლებიდან დაწყებული, ფართო ბაზრისათვის პურის მოყვანა, რადგან ეს სახეირო აღარ იყო. როგორც ეკონომიური ისტორია გვიჩვენებს, ბევრი სხვა ქვეყანაც იყო ამნაირსავე მდგომარეობაში, მაგრამ იქ სძლიეს დაბრკოლებანი და კრიზისები აცილებული იყო. ყველგან ეს მოხდა თვით სახელმწიფოს დახმარება-ხელმძღვანელობით და, ამავე დროს, ადგილობრივი ძალების ორგანიზაციურად მოწყობით. ამაზედ კიდევ გვექნება საუბარი.

რომ წარმოდგენა გვექნდეს, რა ზომამდენა მისული ჩვენში მიწის სივიწროვე, მოვიყვანთ მხოლოდ იმ ცნობას, რომელიც კავკასიის რესპუბლიკებს ახასიათებს, სადაც მიწის სივიწროვეს არსებობა, საზოგადოდ, არავისში იწვევს ექვევს.

აი რას მოწმობენ ამ მხრივ უკანასკნელი ოფიციალური ცნობები: «I კვადრ. კილომ. კულტურულ სასოფ.-სამეურნეო მიწაზედ მოდის მცხოვრები:

საქართველოში. აზერბეიჯანში. სომხეთში
145. 80. 88.

ზოგიერთ მაზრებში მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავია. ასე მაგალითად: «აჭარისტანში» მოდის 353 მცხოვრები, ლეჩხუმში—320, სამხრეთ ოსეთში—272, შორაპნის მაზრაში 240 და სხვ.

ეს ციფრები მეტყველებენ მას, რომ თვითეული აზერბეიჯანელი ან სომეხი გლეხი საგრანობლად უფრო მდიდარია მიწით ვინემ ქართველი. ეს კი იმას მოწმობს, რომ ქართველი მათზედ უარესადაც უნდა იკვებებოდეს, ჩაცმაც და სახლში მოწყობილობაც უფრო ლაბიბული უნდა ქონდეს და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მატერიალური შესაძლებლობაც უფრო ნაკლები.

და აი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ასეთი უბედურება დამყარებული, ჩვენი დღევანდელი მზრუნველები კვლავ განაგრძობენ საქართველოს ტერიტორიის უცხო ელემენტებით აპურლებას, რაიც ცხადათ დავინახეთ წინა წერილში მოყვანილ 1917 და 1926 წლების მოსახლეობის აღრიცხვის ცხრილებიდან...

მართალია დღეს, თითქო, ვხედავთ აქ იქ მიღებული ზომებს (ხშირად ლაპარაკია მაინც), ენერჯიულსაც, რომ ჩვენშიც გაჩნდეს საქარხნო მრეწველობა, მაგრამ, საქართველოს დღევანდელ მპყრობელთა პოლიტიკას რომ ვხედავთ, ჩვენ ეს ნაკლებად გვახარებს, რადგან სრულებით ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ მომავალი ქარხნებ-ფაბრიკები მხოლოდ მცირედათ და ნაწილობრივ იქმნებიან მოხმარებულნი ჩვენი სოფლის მოსახლეობის ინდუსტრიაში ჩასაბმელად. ექვს გარეშეა, რომ ქარხნის მუშებთაც უცხო ელემენტები იქმნებიან გადმოსახლებულნი, ბოლშევიკებისათვის უფრო საიმედონი და ძვირფასნი...

ეს უბედურობა რომ არ ელოდეს ჩვენს ქვეყანას, მომავალი ქარხნები სულ პირველად მის მოსახლეობას შესძენდნ სიკეთეს, ცოტაოდნათ მაინც გასცხრილავენ ძალზედ დატვირთულ სოფელს და ქალაქებისაკენ გასული ხალხი იქ ახალ ღირებულებათა შექმნას შეუდგებოდა. ამით სოფლად დარჩენილ ელემენტს უფრო დაუფასდებოდა მისი შრომა, რომელიც დღეს ესოდენ საზარალოა, რაიც უმთავრესი მიზეზია ქართველ სოფლის მეურნის სიღარიბისა და ჩამორჩენის.

5.

მცხოვრებთა დანაწილება ქალაქსა და სოფელს შუა დიდს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიურ სტრუქტურაში, ამისათვის მეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანათ ცნობა, როგორ არის მოხდენილი ეს დანაწილება უცხო სახელმწიფოებში (პროფ. ბრუცკუსი — «სას. სამ. ეკონომიკა» 1923 წ. ბერლინი).

ქვეყანა აღწერის წელიწადი პროც. სას. მეურნ-ში ჩამბმულ მოსახლეობის

რუსეთი	1897	74.3
ჰუნგრეთი	1900	68.4
ოსტ-ინდი	1901	66.4
ავსტრია	1900	55.9
დანია	1901	40.0
გერმანია	1907	28.6
იტალია	1901	59.4
საფრანგეთი	1901	41.5
ჩრდ.-ამერ. შტ.	1901	35.7
ინგლისი და ირლ.	1901	12.7

მას აქეთ, რაც ის აღწერანი მოხდა, ბევრს სახემწიფოში კიდევ უფრო იკლო სოფლებში მობინადრე მოსახლეობამ და სამაგიეროთ გაიზარდა ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი. უკანასკნელი ეკონომიური შრომანი უკვე გვიჩვენებენ, რომ, მაგალითად, ჩრდილო-ამერიკის შტატებში სოფლად დარჩა არა უმეტესი 33 პროც.; გერმანიაში-კი 25 პროც.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა გავეცნოთ, როგორ ხდებოდა სოფლიდან ქალაქებისკენ ლტოლვა იმისთანა აგრარულ ქვეყანაში, როგორც საფრანგეთი.

	იყო ქალაქებში	სოფლებში
1846 წელს	24 პრ.	76 პრ.
1921 წელს	46,4 პრ.	53.6 პრ.

ამჟამად ბევრს სახელმწიფოებში სადარდელ კითხვათ გადაიქცა ეს ლტოლვა სოფლის მცხოვრებლებისა ქალაქებისკენ. ინგლისი, გერმანია, ჩრდილო-ამერიკის შტატები, საფრანგეთი და სხვა ინდუსტრიალური ქვეყნები, ან ისინი, რომელნიც მხოლოდ უკანასკნელ დროს გადადიან ინტესიურ ინდუსტრიალიზაციისაკენ, უტყუარის სტატისტიკური მასალებით ამჩნევენ სოფლის «დაცარიელებას» და ქალაქების «უზომოთ» ზრდას, რაც, სულ პირველად, ქალაქის ცენტრებში საქარხნო მრეწველობის ზრდით არის გამოწვეული.

ზოგი ეკონომისტი და პოლიტიკოსი აღნიშნულ მოვლენას ქვეყნის დამლუპველ მოვლენად სცნობს, სხვები-კი, პირიქით, მასში უტყუარ ნიშანს ხედავენ ქვეყნის მოღონიერებისა და ეკონომიურ ევოლუციის ნორმალურ პირობებში ჩაყენების.

საქმე იქამდეა მისული, რომ ჩრდილ. ამერიკის შტატებში, ე. ი. იქ, სადაც სასტიკი ზომებია მიღებული, რომ უცხოელებს გაუშეიდეთ ამერიკაში გადასახლება, იქ უკვე ისმება კითხვა უცხოეთიდან სოფლის მუშა ხელის მოწვევისა.

საფრანგეთის ზოგი პოლიტიკოსი, სოფლის «დაცარიელებით» შეშინებული, ზოგჯერ სასაცილო ზომების მიღებასაც-კი თხოულობს, როგორც სოფლებში გასართობ კინოების მოწყობა და სხვა ამნაირები, რათა შეჩერებულ იქმნეს საფრანგეთის სოფლებიდან ქალაქებისკენ გაქცევა, ვენახ-მინდვრების უპატრონოდ დატოვება და მათი სათიბებთ გადაქცევა.

ასეთივე ამბავი ხდება ინგლისში, სადაც სოფლის დაცარიელებამ სულ პირველად იჩინა თავი, როგორც ძველადვე გაინდუსტრიალებულ ქვეყანაში.

სოფლებიდან ქალაქებისაკენ მოსახლეობის დიდი ფენების გადასახლება, თავისთავად, მეტად რთული მოვლენა არის, იგი გამოწვეულია მრავალის მიზეზების ზედ-გავლენით და მათ შორის იმ ეკონომიური ევოლუციით, რომელიც აუცილებლად იქნის თავს იქ, სადაც მოცემულია პირობები სასოფლო მეურნეობის ინტესიურს კულტურაზედ გადასვლისა. ეს მიზეზები მრავალფეროვანია, ისინი მოქმედებენ ერთდროულათ, მაგრამ ყოველს ეპოქაში და ყოველს ქვეყანაში ამ პირობებს შორის ზოგიერთები ისეთ გადამწყვეტელ მნიშვნელობას ღებულობენ, რომ თუ ისინი არ არიან მომწიფებული და განაზო-



ციელებული, დანაშთენი პირობები საქმარისი არ იქმნებოდენ სათანადო ეფექტის მოხდენისათვის.

იმისთანა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სულ პირველად საჭიროა ორი პირობა: ქალაქებში ინდუსტრიის გაჩენა-აღორძინება, სოფლად კი მოსახლეობის ზედ-მეტად გაზრდა, რომელიც ვერ ახერხებს ნაყოფიერად მოიხმაროს თავის მუშა-ძალა იმ მიწაზე, რომელიც აღარ ყოფნის მას გამოსაკვებათაც-კი.

როდესაც ეს ორი პირობა უკვე არსებობს, ამით მოცემულია ორი უმთავრესი იმპულსი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის: ეკონომიური (ქალაქის მძლავრ ბაზრის გაჩენა) და ტექნიკური (მუშა ხელის საქმარისობა).

მაგრამ ეს არ კმარა: ჩვენს დემოგრაფიაში არის კიდევ ორი პირობა, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სოფ. მეურნეობის ინტენსიფიკაციაში. ეს არის—საჭირო დოვლათის დაგროვება სოფლის მეურნეთა ფენებში, რომ შესაძლებელი გახდეს ფაქტიურად იმ ზომების განხორციელება, რომელიც საჭიროა ინტენსიურს მეურნეობაზე გადასვლისათვის. საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ეს ზომები იაფად არ უჯდება სოფლის მეურნეს და თუ მას საკმაო თანხა არა აქვს და მასთან სათანადოდ მოწყობული კრედიტი—იგი ვერც მოახერხებს ინტენსიურს კულტურაზე გადასვლას, თუნდაც დანაშთენი პირობები მოცემული იყოს კიდევ.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია არ არის მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური საკითხი; იგი უაღრესად ეკონომიური კატეგორიის სფეროა და თუ სათანადო ეკონომიური პირობები ხელს არ უწყობენ—ინტენსიფიკაცია არ მოხდება. ამ ეკონომიურ პირობებში უმთავრესი ალავი უკავიათ: ქალაქებში მრეწველობის გაჩენას, სოფლის მოსახლეობის ზრდასთან, ხალხში დოვლათის დაგროვებას, სათანადო მოწყობილ კრედიტს და ბაზრისაკენ მიმავალ გზების გაყვანას. ეს უკანასკნელია ის მეორე დიდმნიშვნელოვანი პირობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მართალია, საქართველოს სოფლის დაცარიელებაზედ ლაპარაკი ჯერ ნამეტნავად ნაადრევია; შეიძლება ეს კითხვა აკტუალი გახდეს ჩვენში მხოლოდ 40-50 წლის შემდეგ, მაგრამ ის, რაც ქალაქებისაკენ ლტოლვას მოსდევს უცხო ქვეყნებში, ისეა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან, რომ ინტერესს მოკლებულათ არ უნდა იყოს გაცნობა იმ მსჯელობის, რომელიც ამ კითხვების შესახებ ატყდა უცხო ქვეყნებში:

როდესაც საფრანგეთში დაისვა კითხვა სოფლის «დაცარიელების» შესახებ, ბევრს ეგონა, რომ სოფლოვითა რაოდენობის დაკლება ამ ქვეყანაში პირდაპირი შედეგი იყო, საზოგადო მცხოვრებთა ზრდის შემცირებისა, რადგან ამ სახელმწიფოში წლიითი-წლობით კლებულობს ახლად დაბადებულთა რაოდენობა და იზრდება სიკვდილიანობა ნორჩ ასაკის მოსახლეობის.

თავისთავად ამ მოვლენასაც, რასაკვირველია, აქვს თავისი გავლენა, მაგრამ სოფლის «დაცარიელებ-

ბაში» საფრანგეთი არ წარმოადგენს გამონაკლისს.

აი რას გვეუბნება დასმულ კითხვების შესახებ გრინიონის აგრონომიულ ინსტიტუტის პროფ. დანიელ ზოლა, თავის წიგნში «თანამედროვე აგრიკულტურა» (გვ. 300): «... ახლად დაბადებულთა რიცხვის დაკლება არ არის გამოწვეული არც მუშის ხელოვანის ნაკლებობით და არც, ვითომდა, კეთილ-ყოფილობის შემცირებით. კვლევა-ძიებამ სულ საწინააღმდეგო დაამტკიცა: ახლად დაბადებულთა რიცხვის დაკლება-შესუსტება იქ უფრო ხშირად ხდება, სადაც უფრო დიდი დაგროვილი დოვლათ-სიმდიდრე და იგი თანაწორად არის განაწილებული! ეს დებულება ისეთივე უმართებელია უცხოეთისათვის, როგორც საფრანგეთისათვისაც».

სხენებული მეცნიერი გვითითებს კიდევ ერთს მოვლენაზედ, რომელიც საფრანგეთის სოფელს ემჩნევა: შემცირება დაქირავებულ მუშა-ხელის რაოდენობისა და ამავე დროს წვრილი მამულის მეპატრონეთა გამრავლება, მუშების მცირე მამულიან მესაკუთრედ გადაქცევით.

«ეჭვს გარეშე არისო, ამბობს პროფ. ზოლა, რომ კარგა დიდი ნაწილი სოფლის მოსახლეობისა, ვაჟია თუ ქალი, სტოვებს სოფელს და ქალაქში ან კომერციაში დგება, ან ქარხნის მუშათა ხდებაო. მაგრამ განა ეს დიდ უბედურობას წარმოადგენს? ნუ თუ ეს ზარალი არაფრით იფარება? შეუძლებელია ეს დებულება მივიღოთო.»

«როგორ უნდა შესძლოსო, განაგრძობს მკვლევარი, 17 თუ 18 მილიონმა საფრანგეთის სოფლის მეურნემ შეძენა იმ საქარხნო ნაწარმოებისა, რომელიც იმისთვის ასე საჭიროა, თუ მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, ყველა ესენი მოკლებულნი იქმნებიან საშუალებას, გამოიყვანონ სოფლიდან მათთვის საჭირო ხალხი?..»

«ჩენი სასოფლო მეურნეობა დიდხანს იყო მოკლებული მის განსავითარებლად საჭირო და წამქეჩებელ პირობებს. სოფლის მეურნე შრომობდა მხოლოდ იმისთვის, რომ უზრუნველ ეყო თავისი საკუთარი რჩენა და მასთანვე როგორმე დაექმყოფილებინა ის მცირე რიცხვანი მოსახლეობა, რომელიც ქალაქ-დაბებში იყო დაბანაკებული. იმ დროს არავის აწუხებდა სოფლის «დაცალიერება». სამაგიეროთ-კი სოფლის ნაწარმოების გასაწოდებლათ საჭირო ბაზრის უქონლობის გამო, სოფლის მეურნეობა ძლივს ითქვამდა სულს, სიღარიბეში იყო ჩავარდნილი: ამავე დროს თვით ქალაქის ინდუსტრიაც იყო უღონო; ძალიან სუსტი იყო მისი აღებ-მიცემობა სოფელს მყიდველთან, რომელსაც ღონისძიება არა ქონდა მისი ნაწარმოები შეეძინა».

«ინდუსტრიული ნაწარმოების დაგროვება იმავე წლის ნაბიჯით მიღოლავდა, როგორც სასოფლო მეურნეობის დოვლათის. აგრიკულტურის დანიშნულობა ხომ ის არის, რომ ინდუსტრიას მიაწოდოს მისთვის საჭირო ნედლი მასალა, რათა ამ უკანასკნელმა გადაამუშავოს იგი. ამნაირად აგრიკულტურა და საქალაქო ინდუსტრია ერთი მეორის გამაღონიერებელი, წამქეჩებლები არიან და არა მოპირდაპირე-მოქიშპენიო».



ამიტომ არის, რომ დაკვირვებულ მკვლევარ-ეკონომისტებს სრულიად არ აშინებთ სოფელლების ლტოლვა ქალაქებისკენ. ამ მოვლენაში სოფლის მეურნეობისათვის ისინი არასდროს სახიფათოს არ წედავენ. პირიქით, ეს ლტოლვა მაჩვენებელია იმისი, რომ მომწიფებულა პირობანი, როდესაც სოფლად მიზანშეწონილად ხდება ინტესიფიკაციის შემოღება, რადგან ქალაქ ადგილებში ვითარდება ინდუსტრია-მრეწველობა.

ამ მხრივ თუ საქართველოს სინამდვილეს მივუბრუნდებით, სადაც სოფლის მცხოვრები მთელი მოსახლეობის 77,7 პროც. შეადგენს, ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ განიცდის იმ სიღარიბეს, რაც, პროფ. ზოლას სიტყვით, საფრანგეთის სოფელსაც ახასიათებდა ერთს დროს. ჩვენშიაც ინტესიფიკაცია არ მოხერხდება, მანამ ქალაქი არ გამოიწვევს სოფლიდან იქ მეტად მჭიდროდ დასახლებულ ხალხს და არ ჩააბამს მათ საქარხნო მრეწველობაში. მანამ ჩვენს ქალაქებში თუ დაბებში ინდუსტრია არ აღორძინდება, სოფელიც ვერ მოღონიერდება. ვისაც სოფლის მეურნეობის აწევა უნდა, მან ქალაქისათვისაც უნდა იზრუნოს და ვისაც ღონიერი ქალაქი უნდა, სოფელს მისცეს.

6.

საქართველოს მოსახლეობის დანაწილება ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართველების თავიდათავი საქმიანობა, ასე ვსთქვათ, მათი ძირითადი «ხელობა», სასოფლო მეურნეობაა. ვერ ვიტყვით, რომ ამ «ხელობას» როდისმე ღირსებდეს სახელმწიფოს მიერ რამე ორგანიზაციული მიშველება, მიუხედავად იმისა, რომ თვით მოსახლეობა ხარბათ იძიებს შინაურ საშუალებებს, რომ როგორმე წინ წასწიოს თავისი ჩამორჩენილი მეურნეობა.

ჩვენი ერის მიწათ-სარგებლობის და მიწათ-მოქმედების ისტორია ჯერ არ დაწერილა. მომავალი ისტორიკოსი აუცილებლად აღნიშნავს იმ დიდს როლს ხალხის ეკონომიკაში, რომელიც წილად ხვდათ ჩვენში ჩამოყალიბებულ პატარა მეურნეობათ. ამ ჩვენებურ ფერმებს, რომლის სათავეში, განურჩევლად წოდებრივის შთამომავლობისა, მცოდნე, გამჭრიახი, მამულის მოყვარე და მუყაითი ხალხი იდგა. ეს ჩვენი ფერმერები და სასოფლო მეურნეობის თანდათანობითი, თუმც ნელის ნაბიჯით, წინ წამწევი. საუბედუროთ ომისა და რევოლუციის შემდგომმა ამბებმა ან დაინდეს ეს საერო სიმდიდრე, ეს კულტურული ბუდეები, სადაც მუშავდებოდა სასოფლო ნაწარმოები არამც თუ მხოლოდ სახლისთვის, არამედ გარეთ გასატანათ. როდესაც მომავალი ისტორიკოსი-ეკონომისტი ღირსეულად შეაფასებს ამ წალეკილ და ხშირად სისხლის მორევში ამომხეჩალ კულტურულს საქმიანობას, ალბად იმასაც გვეტყვის, რომ ეს წადილი მეურნეობაში გაუმჯობესობათა შეტანის უხსოვარ დროთაგან მოსდევს ჩვენს ერს და თუ იგი სას. მეურნეობა დღეს ჩამორჩენილია—აქ ხალხის ბრალი კი არ არის, არამედ იმ უკუღმართ სახელმწიფოებრივი პირობების, რომელიც დამყარებული იყო ჩვენს ქვეყანაში.

ამას წინად შემთხვევა გვექონდა წაგვეკითხა შარდენის მოგზაურობის ამბავი საქართველოში, რომელიც მე-17 საუკუნეში იყო ჩვენს ქვეყანაში. გამოჩენილი ევროპელი ვაჭარ-მოგზაური აქა იქ არ გვინდობს და ორ მომაკვდინებელ ცოდოსა გვადებს თავს: ჩვენს «ურჯულმოძას», რადგან მისთვის მართლმადიდებლობა დამახინჯებაა ერთად ერთ სწორის და ქრეშმარტის კათოლიკურ სარწმუნოებისა, და «ბარბაროსულ უკულტურობას», რასაც უფრო მაშინ დანახავდა ხოლმე, როდესაც მისგან შემოტანილ საქანელში «ბაქსა» სთხოვდენ, ანუ «სახუქარს», როგორც მაშინ უწოდებდენ საბაქო გადასახადს.

და აი სწორედ ეს შარდენი, თავისთვისაც შეუმჩნევლად, მოგვითხრობს ერთს ამბავს, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ყოფილიყო ჩვენი ერის უკულტურობის საბუთი.

შარდენი შეხვედრია სამეგრელოს მთავრის მეუღლეს, რომელიც საგანგებოთ მისულა თვისი ამალით ევროპიდან მოსულ მგზავრის და მისი ხომალდის სანახავად. შარდენმა დაუწყო თურმე ლაპარაკი მისიონერებზე და მათ კულტურულ როლზედ საქართველოში. ქართველი დარბაისელი ქალი ჯერ თავაზიანთ ისმენდა შარდენის ქადაგობას, მერე-კი მოთმინება-დაკარგულმა ასე გააწყვეტინა ლაპარაკი:

«თქვენ განათლებულ ქვეყნიდან მოსულხართ, სჯობს იქაურ განათლებულ მებაასოთ, რა საქაროა ხუცებზედ ბევრი ლაპარაკი—ხუცები ჩვენც ბლომადა გვყავს. გამოგვიგზავნეთ მცოდნე ხალხი და არა მღვდლები, რომ მათგან ახალი რამ ვისწავლოთ; თორემ აი მაგალითად: ღვინო ჩვენში ბევრი მოდის და იმისი კარგად დაყენება კი არ ვიცით; აბრეშუმში ბლომადა გვაქს და მისი მოხმარება კი არ ვიცით ხერიანად. აი ამისთანა კაცები გამოგზავნეთ, რომ ყველა ეს გვასწავლოს...»

ასე აგვივარს იმ ამბავს თვით ჩვენი დამწუნებელი შარდენი.

აი რა დროდან ემჩნევა ჩვენს ხალხს წადილი სასოფლო მეურნეობაში გაუმჯობესობის შეტანისა. ვერ იქმნა და ვერა, ვერ დამყარდა ჩვენში ისეთი მდგომარეობა, რომ ხალხის ამ მისწრაფებას თავისუფალი გზა მისცემოდა, და როდესაც გვეგონა, რომ ასეთი პირობები დადგა, სწორედ მაშინ ვერ გამოვიჩინეთ შორს მხედველობა. თუ ცოტა რამე ვაკეთდა სოფელში სასიკეთო, ბევრი გასაკეთებელი ისევ ძველებურად დარჩა, და სამაგიეროთ ბევრი კარგად მომარჯვებული საქმიანობა მოიშალა...

7.

საქაროა უფრო ახლო გავეცნოთ ჩვენი ქვეყნის სასოფლო მეურნეობას, რათა დავინახოთ, რას წარმოადგენს დღეს დღეობით საქართველოს ავლა-დიდება და ამასთანავე გავითვალისწინოთ მისი მოსალოდნელი პერსპექტივები.

ამიერ კავკასიის სტატისტიკურ მმართველობის კრებული «ნაროდნოე ხოზიასტვო ზაკავკაზია» საქართველოს მიწის ფონდის შესახებ ასეთ ცხრილს იძლევა:

მიწის ფენების არსებული დანაწილება:

სამოსახლო ბალები	სოფლის	სულ	არა	სულ
ათას ლესეტნი. 66.3	15.7	1.094,5	94.1	2.264,5
ათას ჰექტარით 72.3	17.1	1.193,0	102.6	2.468,3
		37.4	964,5	779,7
				5.634,9
				1.934,8
				6.363,0
				6.935,7

ამ ცხრილით გამოდის რომ მთელ საქართველოში ყოფილა, პროცენტებით: ვარგისი მიწები 82,51 პროც. უვარგისი მიწები 17,49 პროც. ნუ გავიოცებთ თუ აწინდელივე სხვა წყაროები ამ განაწილებას სხვანაირად წარმოგვიდგენენ. «ამიერ კავკასიის გეოგრაფიულ კრებულის» ავტორს, ბ. დუბენსკის, რომელიც, მისი სიტყვით, სარგებლობდა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალას (1923 წ.), შემდეგი ცხრილი მოყავს:

მთელი ტერიტორია	ამ რიცხვში	სულ ვარგისი	სულ უვარგისი	პროცენტი
დესეტინობით 6.042.000	919.000	2.168.000	2.020.000	33.3
საქართველო	935.000	4.022.000	66.7	33.3
უვარგისი მიწების გამოკლებით,	სათბობი	ბალ-ვენახი	ტყე	
	სახნავი	20.3	0,9	54.0
	სათბობი	1.8	23.0	

უვარგისი მიწების გამოკლებით, მთელი ვარგისი მიწები ასე აზიან დაყოფილი (პროცენტებით):

ყველა დამუშავებული მიწები, ე. ი. საძოვრებისა და ტყის გამოკლებით, ასეთ პროცენტებს წარმოადგენენ:

სახნავები	სათბობი	ბალ-ვენახი
88,1 პროც.	7,9 პროც.	4,0 პროც.

დ. აფხაზს თავის წიგნში: «Les rich. nat. dela Géorgie», რომელიც საქართველოს შესახებ სტატისტიკური მასალის ერთად შეკრების საუცხოო ცდაა, ასეთი ცხრილი მოჰყავს (გვ. 44):

საქართველოს ტერიტორიის გამოყენება (ათას ლესეტინობით და პროც.):

ტყეები	2.944 ანუ	42 პროც.
კულტურული მიწები	1.336 ,,	20 პროც.
საძოვრები	1.325 ,,	20 პროც.
არა ვარგისი მიწები	1.296 ,,	18 პროც.

რომ ამოვწუროთ, რამდენადაც ამ უამად ამისი საშუალება გვაქვს, მიწების დანაწილების ცნობები, მოვიყვანოთ კიდევ სულ უკანასკნელად გამოქვეყნებულ მასალას (გაზ. «კომ.» 1929 წ.):

«საქართველოს მიწის ფართობი უდრის სულ 7 მილიონამდე ჰექტარს და ამ ყარობიდან:

უვარგისი მიწები	18.72 პროც.	} 65,39 პროც.
საძოვრებს უჭირავს	13.93 პროც.	
სოფლის საბალახოები	11.24 პროც.	
კულტურული მიწები	21.50 პროც.	

უნდა ვიფიქროთ, რომ დანაშთენი 34,61 პროც. ტყეებით არის ჩათვლილი.

მართალია მიწების დანაწილების სტატისტიკურად დამუშავება მეტად რთული საქმეა, ამასთანავე ჩვენში არას დროს არ ყოფილა სერიოზულად მოხდენილი კადასტრი და ამითაც უნდა ავსხნათ ის სხვა და სხვაობა, რასაც მოყვანილ ცხრილებში ვამჩნევთ; შეიძლება ერთი რამ ითქვას აშკარად, რომ ამ დარგში არა ვიცით რა გადაწყვეტით, მაგრამ შემჩნეული განსხვავება, შეიძლება სხვაფორივადაც იყო ახსნილ-განმარტებული.

სულ პირველად უნდა ითქვას, რომ ხსენებული ცნობები ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს ეკუთვნის. უკანასკნელი ციფრები იმ საქართველოს ახსნათებს, რომელსაც კარგა ბლომა ტერიტორია და მოსახლეობა ჩამოათალეს.

მეორეა და—სრულობით ბუნებრივია, რომ წლით-წლობით იცვლება მიწის ფართობის დანაწილება, მიხედვით სასოფლო-მეურნეობის მსვლელობის და ევოლუციისა. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენში ბევრგან სათბობი მიწები სახნავად ხდებოდა, ტყეები იჩეხებოდა და სახნავ მიწების კატეგორიაში გადადიოდა. პროფ. ქურდიანი, რომელიც ჩვენს ტყეებს ზედმიწევნით გაეცნო, საშინელ სურათს წარმოგვიდგენს ტყეების გაჩეხისას და ტყიანი ტერიტორიის პროგრესიულად შემცირების. ექვს გარეშეა, რომ უმეტესი ნაწილი ამ გაჩეხილ ადგილებისა საბოლოოდ გადავიდა სახნავ მიწებში და ამით გადაიდა ეს უკანასკნელი კატეგორია.

იგივე ითქმის უვარგისი მიწების შესახებ. მაშინ როდესაც ბ. დუბენსკი ამნაირს მიწებს აკუთვნებს 33,3 პროც. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით არა ვარგისი მიწები უკვე 18,72 პროც-დე ჩამოდის.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ იმ პირობებში, რომელშიც ამჟამად ხდება საქართველოში სოფლის მეურნეობის წარმოება, როდესაც მიწის სივიწროვის გამო სოფლის მეურნეობის იძულებული არიან ისეთ ნაჭრებსაც მიმართონ, რომელიც წინად უფარვისად ყოფილა ცნობილი, ალბად, ბევრი მიწა «არავარგისის» კატეგორიდან «ვარგის» მიწებში გადადის და მით პროცენტი უფარვის მიწებისაც თანდათან კლებულობს. ეს მარტო ჩვენში-კი არა ხდება, არამედ ყველგან, სადაც-კი მიწის სივიწროვე იჩენს ხოლმე თავსა.

მაგალითად ბელგიასა და საფრანგეთში ამ 30 წ. წინად ასე ანგარიშობდნენ, რომ მთელი მათი ტერიტორიების 33 პროც. უფარვის იყო მეურნეობისათვის. მიუხედავად ამისა ამნაირს მიწებზედაც ვრცელდებოდა სასოფლო-მეურნეობა და ამით დანდათან

კლებულობდა იქ კატეგორია «უფარვისი» მიწების. ასევე ხდებოდა გერმანიაში, სადაც შეიძლება მალე აღარც-კი იყოს «უფარვისი» მიწები.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენში ერთგვარი, უფრო ვიწრო საზღვარი არსებობს, რომელიც შეუძლებლად ხდის ყველა უფარვის მიწების გამოყენებას, მაგრამ არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ ბევრია ისეთი მიწები, რომელიც მომავალში გაზრდიან კულტურულ მიწების ფართობს. ჩვენ აქ სახეში გვაქვს ის შორეული მომავალიც, როდესაც სათანადო მელიორაციის მოხდენით ჩვენს კულტურულ მიწებს უნდა შეემატოს. წინასწარი გამოანგარიშებით, 750.000 ჰექტარი—მეურნეობისათვის გამოხადეტი მიწა.

(გაგრძელება იქმნება)

—ლი—გ.

უკრაინის საკითხი

2. ეროვნული კულტურა.

რაც ითქვა ზემოთ უკრაინელ ხალხის ეთნოლოგიის შესახებ, ცხადად ამტკიცებს რომ ამ ხალხს ათასი წლის ინდივიდუალობა აქვს, თუ დასავლეთ ევროპაში ეს დღემდე არ იცოდნენ, ეს იმიტომ, რომ ყველა იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის გავლენის ქვეშ. ევროპელების გონება ძალაუხნებურათ ემორჩილებოდა იმას, რასაც ჩაგონებდა მოსკოვისა და პეტერბურგის ოფიციალური ტრადიცია. ხოლო უკრაინელებს უფლება აქვთ, გამოაშკარავონ საქმის ნამდვილი ვითარება.

უშეველია, ზედაფენების განვითარება უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში ხელშეწყობ პირობების მიზეზით უფრო დაწინაურდა რუსეთში, ვიდრე უკრაინაში. მაგრამ უდავოა, რომ თვით ხალხის ორგანიული ცივილიზაცია, ეთნოგრაფიული კულტურა უფრო მაღალია უკრაინაში ვიდრე რუსეთში. მოსკოვი საუკუნეთა განმავლობაში იმყოფებოდა ცივილიზაციის გარეთ და ემორჩილებოდა მარტო თათრების გავლენას, უკრაინამ კი შეიარჩუნა ურთიერთობა განათლებულ ქვეყნიერებასთან: იმაზე მუდამ მოქმედებდა ჯერ ბიზანტია და მერე დასავლეთ ევროპის ცივილიზაცია. მე-17 საუკუნეში, როცა უკრაინა შეუერთდა მოსკოვს, მას გაცილებით მეტი სწავლული ყავდა ვიდრე დღეს—რუსების ბატონობის ორნახევარ საუკუნის შემდეგ, ხოლო ამ საუკუნეში მოსკოველებმა გონებრივი გამოფხიზლება რომ დაიწყეს, იმათ უკრაინელებს, კიევის აკადემიის სწავლულთ მიმართეს განათლებისათვის.

დამონებამ შეაფერხა უკრაინის მაღალი კულტურის განვითარება. მაგრამ უცხოთა უღელში მაინც ვერ მოსპო სრულიად მწერლობის და მეცნიერების ზრდა. თუ მე 15-17 საუკუნეებში, ყველგან სწერდნენ ოფიციალურ ენაზე, ცოტად თუ ბევრად არქაიკულ ენაზე, მე 18 ს. ბოლოდან ჩვენ ვხედავთ, რომ ხმარებაში შემოდის უკრაინის ხალხური ცოცხალი ენა, ენა ხალხური სიმღერისა და ლეგენდების. ახალი უკრაინულ მწერლობის მამა იყო პოლტაველი მოქა-

ლაქე კოტლარევსკი. მის დრამატიულ ნაწარმოებს «ნატალკა პოლტავკა» ს დღესაც თამაშობენ უკრაინის სცენებზე. მის მიერ სატირად გადაკეთებულმა «ენეიდა», სადაც ტროელების ნაცვლად კახაკები არიან გამოყვანილნი, საყოველთაო გამოხმაურება ჰპოვა.

კოტლარევსკის მოჰყვა მთელი რიგი პოეტებისა და ბელეტრისტების, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია ჭეშმარიტს გენიოსს შევჩენკოს. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ლირიკული პოემები, მან განაცხოველა ტრაგიული და სახელოვანი წარსული, შეაქო მამულიშვილური გრძნობა. მისი გავლენა დიდი იყო როგორც უკრაინის ისე უცხოეთის მწერლებზე.

დღევანდელი უკრაინული ლიტერატურა მდიდარია პოეტებით, რომანისტებით, ნოველისტებით, დრამატურგებით. თანამედროვე მწერალთა შორის აღსანიშნავია დიდი ფიგურა ივანე ფრანკოსი—მას ეკუთვნის წინასწარმეტყველური პოემა «მოსე», ნაზი ესტეტი და ნოველისტი სახელოვანი კოტუბინსკი, ელეგიური პოეტი ოლესი და აღმოსავლეთ ევროპის ერთი უორიგინალესი და უცხოველესი მწერალი, ვინიჩენკო. სლავურ მწერლობაში რუსულისა და პოლონურის შემდეგ პირველი ადგილი უკავია უკრაინულს.

უკრაინულმა თეატრმა მე 19 ს. ბოლოს დიდი გავლენა მოახდინა ეროვნულ აღორძინებაზე. რუსულმა ცენზურამ ნება დართო წარმოედგინათ მხოლოდ ხალხის ზნეჩვეულების დამახასიათებელი პიესები. ნებადართული იყო აგრეთვე ორიოდ ისტორიული პიესის წარმოდგენა. მაღალი მიხნით გამსჭვალული პიესები და თარგმანები სრულდებოთ აკრძალული იყო. დევნამ და შევიწროებამ განსაკუთრებით მნიშვნელობა მისცა უკრაინულ თეატრს. იგი გადაუშლიდა მყურებლებს წარსულის სურათებს, უჩვენებდა ხალხის ტკივილებსა და გასაჭირს, თეატრში გაისმოდა უკრაინული ნაღვლიანი სიმღერები, —



და ყველაფერი ეს აღვიძებდა ეროვნულ გრძობას.

უკრაინის თეატრის აწინდელი მდგომარეობა გამოცვლილია, მის რეპერტუარში დღეს შედის ევროპის საუკეთესო დრამატიული ნაწარმოებები და აგრეთვე უკრაინული პიესები, რომლებიც წინათ აკრძალული იყო.

უკრაინელების მუსიკა ცნობილია. თუ რითიმე შეუძლიათ მათ იამყონ, ეს მათი სიღრებია. განთქმულმა უკრაინელმა კომპოზიტორმა ლისენკომ გადაიღო ნოტებზე ძველი სიმღერები და დასწავა მრავალი ორიგინალური. სხვადასხვა დაბრკოლებამ ხელი შეუშალა უკრაინის მუსიკალურ გენიის განვითარებას, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი მუსიკალური სკოლა, რომელიც კიევში მუშაობს, თავის შემოქმედების ნაყოფს მოგვცემს.

ისტორიული გამოკვლევანი და ტენიკური ძიებანი, რომელსაც აწარმოებენ უკრაინელი მეცნიერები, მიზნათ ისახევენ შეისწავლონ და გააცნონ ყველას ძველი ხუროთმოძღვრება და მხატვრობა, რომელიც განიცდიდა ჯერ ბიზანტიის და შემდეგ ევროპის გავლენას და რომელმაც მაინც მიიღო ეროვნული ხელოვნების სახე; ამას ნათლად მოწმობენ თავისებური მორთულობის მრავალნაირი მოტივები.

უკრაინული მეცნიერება, განსაკუთრებით ის დარგი, რომელიც ეხება სამშობლო მხარის შესწავლას, შეუჩერებლივ ვითარდება¹⁾. 1876 წ. კიევში არსებობდა მეცნიერული საზოგადოება, როგორც განყოფილება რუსეთის იმპერიის საეკონომიკური საზოგადოებისა; ამ განყოფილებამ მრავალი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა. მაგრამ იგი მალე დახურეს, რადგან უკრაინულ-ეროვნული ხასიათი ჰქონდა. უკრაინულად რისიმე დაბეჭდვა შეუძლებელი იყო; უკრაინელი მეცნიერები იძულებულნი იყვნენ რუსულ ენაზე ებეჭდათ თავისი თვითი მიმოხილვა «კიევსკაია სტარინა», რომელიც ემსახურებოდა მშობელი ქვეყნის შესწავლას. დაარსდა 1882 წ. და იარსება ოცდახუთი წელიწადი. 1892 წ. ლემბერში (ლვოვში) დაარსდა შეგჩენკოს სახელობის სამეცნიერო საზოგადოება და გამოსცა თავის ნაშრომთა პირველი წიგნი. ეს საზოგადოება შესდგებოდა ისტორიული, ფილოლოგიური, ბუნებისმეტყველების და მათემატიკურის სექციებისაგან. მას ჰქონდა მუზეუმი, დიდი ბიბლიოთეკა, სტამბა, წიგნის მაღაზია. მან გამოსცა რამდენიმე ასეული ტომი თავის ორიგინალურ გამოკვლევათა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. 1906

¹⁾ ისტორიკოსებში უნდა დავასახელოთ: კოსტომაროვი, ანტონოვიჩი, ლაზარევიკი, ალექსანდრა ეფიმიენკო, გრუშევიკი, ტომაშევიკი; ფილოსოფოსებში: ჟიტევიკი, მიხალჩუკი, სმალ-სტოკი, კრიმსკი; ეთნოგრაფებში: დრაგომანლი, ჩუბინსკი, ვოლკოვი, რუდნიკი; კრიტიკოსებსა და ლიტერატურის მკვლევარებში: პეტროვი, ივ. ფრანკო, ვერემოვი, პერეტცი.

წ. რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ კიევში დაარსდა უკრაინული სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც მრავალი განყოფილება ჰქონდა და რომელმაც დაბეჭდა უკრაინულ ენაზე თავისი შრომები და აგრეთვე პერიოდული გამოცემა «უკრაინა».

ლემბერგის (ლვოვის) უნივერსიტეტში თუთხმეტი საგნის ლექციები უკრაინულ ენაზე სწარმოებდა. 1905 წ. კიევის, ხარკოვის და ოდესის უნივერსიტეტებში ნებადართულ იქნა უკრაინული ლექციები, ხოლო მალე აკრძალეს. 1917 წ. რევოლუციის შემდეგ კიევში აკურთხეს უკრაინული უნივერსიტეტი, რომელიც მოქმედებდა ძველ რუსულ უნივერსიტეტთან ერთად. გაიხსნა ნაციონალური უნივერსიტეტი აგრეთვე კამენეც-პოდოლსკში. პოლტავაში მოეწყო მწერლობის ფაკულტეტი, ხოლო კიევში სამეცნიერო აკადემია, უკრაინის ყველა რუსულ უნივერსიტეტში დაარსდა კათედრები ადგილობრივი მეცნიერებისათვის.

უკრაინისათვის ყველაზე უფრო სამძიმო იყო ეროვნული სკოლების საკითხი. მხოლოდ გალიციასა და ბუკოვინაში არსებობდა დიდხინიდან უკრაინული პირველდაწყებითი და მეორე საფეხურის სახალხო სკოლები, ვინაიდან ამ ადგილების მკვიდრთ უფრო მაღალი ეროვნული კულტურა ჰქონდათ და გამსჭვალულნი იყვნენ მამულიწვილობით უფრო ძლიერ, ვიდრე აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლები.

მაგრამ რევოლუციის ორმა წელმა შესაძლებელი გახადა მთელი უკრაინის სახალხო განათლების რეორგანიზაცია. კიევის სახალხო განათლების მინისტრის და ყველა ინტელიგენტის აქტიური მოქმედებით მთელ უკრაინაში გაიხსნა ეროვნული პირველ დაწყებითი სკოლები. მეორე საფეხურის სასწავლებლების გადაკეთება უფრო ხელა მიმდინარეობდა. ყოველ შემთხვევაში ყველგან სავალდებულო გახდა უკრაინული ენა, მწერლობა და ისტორია და გაიმართა ასზე მეტი წმინდა უკრაინული გიმნაზია.

1905 წ. დაარსდა საზოგადოება «პროსვიტა» სახალხო განათლების გავრცელებისათვის. მაგრამ პოლიციამ დაუწყა დევნა და დახურვა. განათვისუფლების შემდეგ ასობით შესდგა ასეთი საზოგადოებანი, უმეტეს შემთხვევაში გლეხების დახმარებით და ამან გაუმარა ზურგი სწავლა განათლების საქმეს უკრაინაში. ერთბაშად გამრავლდა პრესა, რომელიც წინად აკრძალული იყო. გარდა ყოველდღიურ გაზეთებისა, იბეჭდებოდა მრავალი თვითი თვითი ყურნალი სხვადასხვა ხასიათისა, საზოგადო თუ სპეციალური. მიუხედავად ტენიკურ დაბრკოლებათა წიგნების გამოცემაც ფართოდ იქნა დაყენებული, თუმცა შეუძლებელი იყო ხალხის მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება.

ალ. მულეინი

უკრაინის რესპუბლიკის რწმუნებული, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.



კომინტერნის აგენტების საქმიანობა შენგვაში

გამოჩენილ შვეიცარიელ სოციალისტს, პოლ გრაბერის მქუხარე წერილმა «ჰანრი ბარბიუსი და-ლატებს ჩაგვრულთა საქმეს», რომლის თარგმანი «დ. საქართველომ» თავის მკითხველებს გააცნო წინა ნომერში, ბუნებრივად მიიქცია საზოგადოებრივი აზრის ყურადღება და ჰპოვა ცოცხალი გამოხმაუ-რება. გაზეთებმა ის მსჯელობის საგნად გახადეს და მის ავტორს დამსახურებული პატივი და ქება მიუზ-ლეს. მაგ გაზეთი «ყენევა», რომელმაც მოიყვანა აღნიშნული წერილის მთავარი ადგილები დამახა-სიათებელი სათაურით «ჰანრი ბარბიუსი სოვეტე-ბის ქირაზე», დასძინდა:

«და ამ საბრალდებულს აქტს სრულიად განსაკუ-თრებულ მნიშვნელობას აძლევს ის გარემოება, რომ მას ხელს აწერს ე. პოლ გრაბერი, რომელიც არის ერთი უგამოჩენილესთაგანი რომანულ შვეიცარიის სოციალისტა შორის, «ნაციონალურ საბჭოს» ვიცე-პრეზიდენტი».

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ კარგად ცნობილ-მა ფრანგმა სოციალისტმა და სინდიკალიზმის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანმა, ჩვენმა მეგობარმა ჟორჟ დიუმელენმა, გრაბერის ხმას შეუერთა თავისი კე-თილშობილი აღმფოთება ბარბიუსის წინააღმდეგ. ის აქვეყნებს მსურვალე წერილს შემდეგი სათაურით: «მე ვუერთები გრაბერის აზრს. ბარბიუსმა შეუტაც-ყო ჰემსაინტემა».

ჩვენ სურვილს გამოვსთქვამთ, მოთაყვებულ იქ-ნას ჩვენს ჟურნალში ამ მშვენიერ წერილის სრული თარგმანი. მანამდე კი მოგვყავს წერილიდან რამდე-ნიმე მკვეთრი სტრიქონი:

«ბარბიუსი გახდა სოვეტების ფანატიკური თა-ყვანისმცემლი, ის იწონებს ყველაფერს, რასაც ეს მთავრობა სჩადის, მისი კალამი ეყმობ მას. საბჭოთა მთავრობა ბარბიუსისათვის აღმამფოთებელ მიკერ-ძობულ თაყვანისცემის საგანია... ამ ფანატიზმმა მოაკლა მასში კეთილშობილი გრძნობები, რომელთ წინათ ვამჩნევდით ბარბიუსს... ის აღმოჩნდა ნაფი-ცი მსახური სექტანტთა ხელისუფლების და დაიწ-ყო მუცელზე ხოხვა ძლიერთა, წუთიერ ბატონთა წინაშე»...

მას შემდეგ, რაც მე ბარბიუსის ამ ახალ სახეს ვიცნობ—დასაკვნის დიუმელენი, დავკარგე მისდამი პატივისცემის გრძნობა, რომელსაც წინათ განვიც-დიდი. რაკი ის საქართველოში ასეთი სულისკვეთე-ბით წვიდა, მას აღარ შეეძლო თავისი კალამი ჰემ-მარიტებისათვის ემსახურებია».

გრაბერის საუცხოვო წერილმა გამოიწვია მეო-რეს მხრით, ფარისევლური რისხვა ბარბიუსის ყე-ნეველ აგენტის, გაზეთ «ლევ ტრაფაი»-ს რედაქტორის ბ. ლ. ნიკოლის. ბ. ნიკოლმა, რომელიც უკვე დიდი ხანია აწარმოებს თავის გაზეთში ძლიერ აქტიურ პრობაგანდას სოვეტების და განსაკუთრებით ბარ-ბიუსის ჟურნალის «მონდ»-ის სასარგებლოთ, სცა-

და დაეცვა შვეიცარიელ სოციალისტ ლიდერის თა-ვდასხმისაგან თავისი ბატონი და კომინტერნის აგე-ნტი.

ყოვლად უტიფარათ გაიზიარა ბ. ნიკოლმა მთე-ლი ის ტყვილების და ცილისწამების კამპანია, რ-ომელსაც ქართველი ხალხის მჩაგვრელნი აწარმოებენ თავიანთ მსხვრალის წინააღმდეგ, კამპანია, რომელ-საც სათავეში ჩაუდგა ბარბიუსი. ისიც უნდა ითქვას რომ ბ. ნიკოლის პოზიციას არავინ უნდა გაეკვი-რვებია, რადგან ყველამ კარგათ იცის, თუ რა მონუ-რი დამოკიდებულება შეითვისა მან სოვეტების მი-მართ. მისი ორგანო «ლევ ტრაფაილ» ყოველდღიუ-რათ იძლევა საამისო საბუთს. აი რას სწერდა ნიკო-ლის მიერ ყენევაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ დიდი საერთაშორისო ჟურნალი «Pax»:

«ჩვენ გვკონდა შემთხვევა, აგვიჩინა ის გასაკვი-რალი როლი, რომელსაც თამაშობს ყენევაში ადგი-ლობრივი სოციალისტური პარტია, ერთნაირათ მოძულე ერთა ლიგის და შრომის საერთაშორისო ბიუროსი, ალბერტ ტომას და სხვათა. მისი ორგანო «ლევ ტრაფაი» არის მსოფლიოს ხელმძღვანელთა მო-სახრლე; «ლევ ტრაფაი»-ს თაფლი სდის პირიდან, როცა ის ყენევაში მოვლინებულ რ. ს. ს. კ-ის დელე-გაციანზე ლაპარაკობს. უცხოეთის ყველა ქვეყნების ფარგლებში მხოლოდ ყენევაში, ერთა ლიგის საყუ-დარში, შესძლო რ. ს. ს. კ-მა მოეპოვებია მისი მაცნე მცნებების ერთგული და დამცველი ორგანო» (26 მა-ისის ნომერი).

ამგვართ, მდგომარეობა ნათელია: ბ. ნიკოლი სისტემატიურათ აყენებს თავის თავს სოციალისტუ-რი ინტერნაციონალის გარეშე და მონურათ იცავს საბჭოთა მეთურებს; ასეთი ქცევა მოწმობს, რომ მან უკვე მოახდინა არჩევანი სოციალიზმსა და მოს-კოველ კომუნისტს შორის. და თუ ის მაინც აღარ იხდის სოციალისტურ ნიღაბს—ეს მხოლოდ იმ მიზ-ნით, რომ უკეთ ემსახუროს კრემლის ტირანებს. მი-უხედავათ ამისა, მისმა უტიფარმა წერილმა, «ლევ ტრაფაი-ში» გამოქვეყნებულმა—, აი რა უნდა უთ-ხრათ ჩვენ ამხ. გრაბერს, შვეიცარიის სოციალ. პარ-ტიის მდივანს», გამოიწვია სოციალისტურ წრეებში სიერთა განციფრება და არა ნაკლები აღმფო-თება.

მკითხველი წაიკითხავს ქვემოთ პოლ გრაბერის წერილს, რომელშიაც ის ენერგიულათ გაემიჯნა ავანტიურისტთა დამქაშებს.)

ხ. შავიშვილი.

ყენევა. აგვისტ. 1929 წ.

*) უადგილობისა გამო გრაბერის წერილს მოვა-თავსებთ შემდეგ ნომერში.

უცხოეთის მიმოხილვა.

ევვიპტის დამოუკიდებლობა.

ბევრს ძალიან ეოცა, რომ მაკდონალდის კაბინეტი, შესდგა თუ არა, მაშინვე ევვიპტის დახლართულ კვანძის გახსნას შეუდგა, და ჰენდერსონმა, გარეშე საქმეთა მინისტრმა, კიდევ გამოაქვეყნა ევვიპტის პრემიერთან, მაკმუდ ფაშასთან შემუშავებული შეთანხმების პროექტი. ასეთი ყესტი ღირსეულათ დაფასა საზოგადო აზრმა და თვით კონსერვატორებიც სასტათ დარჩენ. მათ უფრო ვერ მოუხელებიათ ლორდ ლოიდის ევვიპტის უმაღლეს კომისარობიდან დათხოვნა, ვინემ პროექტი. ჰენდერსონმა განაცხადა, რომ ლორდი არ ეთანხმებოდა მის პოლიტიკას ევვიპტის მიმართ და განაგრძობდა ძველი მთავრობის «მაგარ ხელსა».

ევვიპტემ არა ერთხელ იგემა იგი ამ უკანასკნელ წლებში. 1922 წ. ინგლისმა თითქო შეასრულა ომის დროს მიცემული დაპირება და ევვიპტეს დამოუკიდებლობა უბოძა, ასე რომ მან მეფეც კი დაიყენა სათავეში. მაგრამ ყველა ეს არ სპობდა არც ოკუპაციას. არც უმაღლეს კომისარიატს! მართალია, დამოუკიდებლობის აღიარებისას ნაგულისხმევი იყო, რომ ცალკე ხელშეკრულება დაიწერებოდა და მასში ყველა სადაო კითხვები გადიჭრებოდა, მაგრამ ესეც სიტყვად რჩებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, მოლაპარაკება ხშირათ იმართებოდა, ერთხელ პროექტიც კი შემუშავეს ჩემბერლენმა და სარვატ ფაშამ. მაგრამ იგი უარყო ევვიპტის პარლამენტმა, რომელიც უვადოთ დაითხოვეს ამისათვის, და შემდეგ იქ ერთგვარი დიქტატურა დაწესდა.

რას მოითხოვენ ევვიპტელები? სრულს და შეუზღუდველ სუვერენობას, მაშასადამე. ინგლისმა უნდა გაიყვანოს ჯარები უკანასკნელ სალდათამდე, უნდა გაუქმდეს ყოველგვარი კონტროლი მის მიერ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ევვიპტეს უნდა შეეძლოს ერთა ლიგაში შესვლა. კონსერვატორები არ მიდიოდენ ამ დათმობებზე, რადგან ეს მათ იმპერიალისთვის სახიფათოდ მიაჩნდათ. ევვიპტეს უპირავე მსოფლიოს ისეთი ყელი, რომ მისი მთლათ ხელიდან გაშვება ან სხვა ვისმეს გავლენის გამარჯვება იქ, ჩვენთვის მიუღებელია—ამბობდენ ისინი.

საინტერესოა, რომ ეს მოსაზრებები არც ჰენდერსონ დაიწყინა, როცა პროექტს სწერდა მაკმუდ ფაშასთან! პროექტი აუქმებს კომისარიატს, ახდენს ევაკუაციას, ხოლო, ევვიპტის ნებართვით, ინგლისის ეძლევა უფლება იყოლიოს განსაზღვრული რიცხვი ჯარისა სუეცის არხზე. მეორეს მხრით, ევვიპტე შედის ერთა ლიგაში, აქვს თავისი სავარყო და საშინაო პოლიტიკა, მაგრამ ის მუდმივ კავშირშია ინგლისთან ომისა და ზავის დროს. ევვიპტეს უბრუნდება მისი უფლება სუდანზე ინგლისთან ერთათ, კონდომინიუმი.

მაგრამ ერთი არაჩვეულებრივი მუხლიცაა ამ პროექტში: ევვიპტე ვალდებულია მოიწვიოს პარლამენტი დემოკრატიულ არჩევნების წესით და მის წინაშე დააყენოს შეთანხმების მიღების კითხვა. ამით, ერთის მხრით, ბოლო ედება დიქტატურას, მეორეს

მხრით, იმედოვნებენ, რომ ხალხი არ უკუაგდებს შეთანხმებას.

მაშასადამე, როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩათვალოს დავა ამოწურულად, თუმცა, ცხადია, რომ მიღწეული დათმობები უკვე დიდ ეროვნულ გამარჯვებას მოასწავებს. ევვიპტე, ინგლისის პროტექტორატის დროს, აღწევს ეკონომიურ განვითარების უმაღლეს საფეხურს, მისი გირვანქა სტერლინგი ინგლისისას ჩრდილავს ღირებულებით; პოლიტიკურათ მომწიფდა და არაბების სახელმწიფოთა შორის ის იქნება ალბათ პირველი საერთაშორისო ოჯახში.

არ შეიძლება იმავე დროს აქვე არ აღვნიშნოთ, რომ მეორე ინტერნაციონალის მიერ მიღებულ რეზოლიუციებსაც ჰქონიათ მნიშვნელობა. შარშან ბრიუსელში მიიღეს იგი ევვიპტის მიმართაც, მაშინ ჰენდერსონი ინტერნაციონალის თავმჯდომარე იყო... დასკვნები ზედმეტია.

პალესტინა.

თქვენმა დათმობებმა ევვიპტის მიმართ პალესტინის არაბები გაათამამო—უსაყვედურებს კონსერვატული პრესა მაკდონალდის კაბინეტს. მეორეს მხრით, მაკდონალდმა განაცხადა ქენევაში, რომ არაბებრავლთა სისხლისღვრა პალესტინაში რასიულ ან სარწმუნოებრივ მტრობას არ მიეწერება და არის მხოლოდ უბრალო სისხლის სამართლის დანაშაულო. ვერ უარვეყოფთ, რომ ამ განცხადებებში არის ერთი ნაწილი სიმართლისა: ევვიპტის მაგალითი შეიძლება ერთგვარი საბაბი იყო პალესტინის არაბებისთვის, იმავე დროს რასას და სარწმუნოებას მართლაც არ ჰქონია მინც და მინც მნიშვნელობა ებრავლთა და არაბთა ურთიერთ დამოკიდებულებაში; მაგრამ აქედან ისეთი დასკვნები, რასაც კონსერვატორები და, განსაკუთრებით, მაკდონალდი აკეთებს, კითხვის გამარტივებას მოასწავებს, მეტი რომ არა ვსთქვათ.

სიონისტური მოძრაობა ახალი თარიღის არ არის, მაგრამ ომის შემდეგ მან მიიღო ერთგვარი სახელმწიფოებრივი ხასიათი. გამარჯვებული ინგლისი იმპერიალისტური თუ ჰუმანიტარული მოსაზრებით თავის თავს ებრავლთა «ეროვნულ კერის» მოსარჩლედ აცხადებს. ცნობილია ლორდ ბალფურის საჯარო დაპირება, რომ ინგლისი მოუპოვებს ებრავლთ «კერას» მათ ძველ სამშობლოში—პალესტინაში. მას შემდეგ იწყება სიონისტურ კოლონიზაციის გაძლიერება, ახალ ემიგრანტების მოწყობა პალესტინაში, ქალაქ-სოფლების გაშენება, ინგლისის მანდატის და მფარველობის ქვეშ.

მაგრამ ინგლისი ხედავდა, მეორეს მხრით, რომ პალესტინაში ოთხი მესუთედი არაბებია, და ესენი კი არ იყვენ კმაყოფილი მათ სახელმწიფოში ებრავლთა სახელმწიფოს დაარსების. აქედან რყევა და ზიგ-ზაგები ინგლისის მოპყრობაში თვითეულ ერი-სადმი. თუ თავში, მაგ., ებრაელნი იყენენ მისი «რჩეულნი», უკანასკნელათ ასეთებად თითქო არაბები იქცენ. ერთადერთი სამლოცველო ადგილი, ძველი იე-



რუსალიმის «ცრემლის კედელი», ალყაშემორტყმული გახდა არაბების მიერ და ინგლისის უმაღლესი კომისარი ყურსაც არ იბერტყდა. სწორეთ აქედან დაიწყო შეტაკება, რამაც შემდეგ ნამდვილი არაბებრავლთა ურთიერთ ქლევტის სახე მიიღო. მიიღეს ზომები სისხლისღვრა შეწყდა...

ხოლო პრობლემა გადაუჭრელი რჩება, მისი სირთულე უდავოა. ებრაელები, რომელნიც ხშირათ სხვის ეროვნულ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიან, პალესტინის მაგალითზედ სწავლობენ. რა მწარეა ტერიტორიის დაკარგვა და რა ტკბილია სამშობლო კერა.

ღმი თუ ზავი?

ღიას, არავინ იცის, ღმია თუ ზავი რუსეთ-ჩინეთის საზღვრებზედ! შეტაკებები ხდება, ხმარებაშია ზარბაზან-ტყვიამტყორცნელები, აეროპლან-საწამლაკე გაზები, ხალხი ბლომბათ ისოცება იქიდან-აქედან, მაგრამ ორივე მხრიდან გაისმის ხმა: არა, ზავში ვართ, მოლაპარაკებაც სწარმოებთ! საყურადღებოა ამასთანავე ტოკიოს მშვიდობიანი კილო, ნუ გეშინიათ. ღმის თავი არა აქვს არც რუსეთს, არც ჩინეთს, მორიგდებიანო. ყენგვაშიც ამდენი ილაპარაკეს ომზე და ზავზე, ხოლო ორი უდიდესი ქვეყნის «დაკა დაკა» არავის მოგონებია, არც უხსენებია. ისე არაპირდაპირ ბრიანმა სთქვა ნიშის მიგებით: ჯარები ერთდებიან საზღვრების მიახლოებას, ხოლო დიპლომატები მისწრაფვიან იქითკენ ხელის ჩამოსართმევთ! ჩინეთის დეოლეგატი ამბობდა: ჩენი ხალხის მშვიდობიანობის სიყვარული ათასიან წლების ტრადიცია არის; ხოლო ესლა ვრწმუნდებით, რომ ვისაც მშვიდობიანობა სურს, მას თავის დაცვის უნარიც უნდა შესწევდესო.

ასე ამრიგათ, ჩვენ ვიმყოფებით ჩინურ ამოცანას წინაშე, ღმია თუ ზავი? ყოველ შემთხვევაში. ტრადედია და კომედია ერთმანეთს სცილის სცენაზედ. დიდი სახელმწიფოები გულგრილათ უყურებენ ბანჯგვლიან თუ ნაწნავიან აქტიორებს, ხან ერთი დაუფლის დავლურს, ხან მუორე და ასე თვეთა განმავლობაში.

მოსკოვი კი ძალზე სუიმავედა მშვილდს, შექმნა განსაკუთრებული არმია მანჯურის საზღვრებზედ, სარდლად «დიდი» ბლიუხერი დანიშნა, მოხალისეთა ტევა არ არის, ეწერებიან ძველი ინვალიდებიც, საბჭუთა «საზოგადოებრივობა» დელავს, თვით პატრახუშაშიც (აბხაზეთის ერთი მივარდნილი სოფელი) «მრისხანე» რეზოლუცია მიიღეს «ავაზაკ ჩან-კაი-შეკის» წინააღმდეგ...

და მთელი ეს ქეჩა-ქუხილი ლამის სრული კაპიტულაციით დამთავრდეს! კულისებში მართლა წარმოებს მოლაპარაკება, ბერლინის საშუალებით. მოსკოვმა უკან წაიღო სტატუსქვოს მოთხოვნა, თანახმაა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის გამოყიდვის კითხვა დაისვას და დაობენ მხოლოდ დირექტორების დანიშნვა-გადაყენებაზე. იმეღია, ამ დავასაც ამოწურავენ და მანინ სტალინი და მისი ამაღა «გამარჯვებული» წარსდგებიან პირში ბურთ-ჩაჩრულ ხალხის წინაშე.

აბა, რას არ აიტანს მრავალტანჯული რუსის ხალხი!

რას სწვიან გოლშევიკებზე

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი და ცენტრალური კომიტეტის წევრი პოლ მარიონი ამას წინად პარტიიდან გამოვიდა და შემდეგი წერილი გამოაქვეყნა გაზეთებში «კომუნ. პარტიის სეკრეტარიატის წევრების» სახელზე: «პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა თქვენის ხელმძღვანელობით პარტია ორ წელიწად ნახევარზე მეტს და რომელმაც გამოიწვია მთელი რიგი დამარცხებათა და პირველი აგვისტოს სამარცხვინო დამსხვრევა.— მიიძლეგბს ზნეობრივად და პოლიტიკურად გავწყვიტო ყოველი კავშირი კომუნისტურ ინტერნაციონალთან.

როგორც წარსულში არა ერთხელ მომხდარა, დღესაც საქმე რომ მართო ტაქტიკურ შეცდომებს ეგებოდეს, მე არასოდეს გადავდგამდი ასეთ სერიოზულ ნაბიჯს. მაგრამ ამას წინანდელმა 15 თვის ყოფნამ რუსეთში (1927 წ. ნოემბერი 1929 თებერვალი) და ერთი წლის თანამშრომლობამ კომინტერნში მომცა სრული გადაწყვეტილება, რომ თქვენი დემოკრატიული და უპატიოსნო მოქმედება არ წარმოადგენს გარდამავალ შეცდომებს. იგი წარმოსდგება იმ გაუსწორებელ ყალბ შემეცნებისაგან, რომელიც აქვთ საბჭუთა რესპუბლიკების და კომ. ინტერნაციონალის გამძღოლებს მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ევოლუციის, მუშათა მოძრაობის და საკუთარ ქვეყნის მდგომარეობის შესახებ.

როგორი დიქტატურაა რუსეთში.

როდესაც რუსეთში ვიყავი რამდენიმე თვის განმავლობაში და შეძლება მქონდა უშუალოდ გამოვლაპარაკებოდი იქაურ მუშებს და პატარა ადამიანებს, მე დავრწმუნდი და ჩემი რწმენა უფრო და უფრო განსტკიცდა, რაც უფრო გავაფართოვე ჩემი ძიება საბჭუთა საზოგადოების ყველა ფენებში— რომ «პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალისტურ აღმშენებლობის» წინაპირის უკან (ეს წინაპირი კი საუცხოვოდაა მოკახმული!) იმალება საშინელი და აუტანელი სინამდვილე: რამდენიმე მილიონი ყოველგვარი ჯურის და ხარისხის ბიუროკრატების კასტის ბატონობა. ეს ბიუროკრატები—სტალინიდან დაწყებული სოფლის კორესპონდენტამდე—თავის უფნურ პოლიტიკის და განუსაზღვრელი, უსამართლო, ინკვიზიტიური დიქტატურის მეხებებით ამყოფებენ მთელ ქვეყანას პოლიტიკურ და ეკონომიურ სილატაკეში, რომელიც თანდათან უფრო მწვავედება.

ხევილიზმის დასამარცხა.

ვნახე მუშები, პარტიის ძველი წევრები, ოკტომბრის რევოლუციის მებრძოლები, რომლებიც დღეს თერთმეტი წლის შემდეგ, თავის ცხოვრების უდიდეს სისულელედ იმას სთვლიან, რომ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოლეს. ვნახე ტენიკოსები, რომლებიც ადგენენ აგრეწოდებულ ხუთწლიან გეგმებს; მათ რცხვენიათ იმ სტატისტიკისა და წინასწარი გამოანგარიშებისათვის, რომელსაც იძულებით



მ რ მ ვ მ ბ ი

აკეთებინებენ. ამ ტენიკოსებმა მიიხრეს: «მას შემდეგ, რაც ინდუსტრია და სასოფლო მეურნეობა ერთმანეთს დაშორდა და წინამდევობა ქალაქსა და სოფელს შორის დღით დღე იზრდება.—ჩვენ სოციალიზმისკენ კი აღარ მივიდვართ, არამედ კაპიტალიზმის წინა დროისკენ». ეს ყველაფერს მეტყველებს: რუსეთში არც პროლეტარიატის დიქტატურაა და არც სოციალისტური აღმშენებლობა. არამედ ერთი კასტის ბატონობაა და სოციალიზმის დასამარება.

მეორეს მხრით კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობის გაცნობამ, განსაკუთრებით მეექვსე კონგრესმა ნათელსკო ჩემთვის, თუ რამდენად მანებელია მუშათა მოძრაობისთვის, რომ მის ხელმძღვანელობას ჩემულობს ერთი მცირე ჯგუფი, სადაც სხვადასხვა სექციების მეთაურები მხოლოდ უბრალო დანიშნული მოხელეები არიან, და მთელი ეს ხალხი ოცნების სამეფოში ცხოვრობს და მუდმივი ომები და რევოლუციები ელანდება...

საფრანგეთის კომ. პარტი. სამარტინივი მუშაობა.

თქვენმა მუშაობამ, ჩემი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, კიდევ უფრო განამტკიცა ჩემი გადაწყვეტილება: თქვენმა გადამლაშებულმა პროპაგანდამ პირველი აგვისტოს გამო, უხეშად მოწყობილმა გაფიცებმა მასათა «რადიკალიზაციის» დასამტკიცებლად. თქვენმა ისტერიკულმა დაცვამ საბჭოების რესპუბლიკების კავშირისა, ყვირილმა არალეგალურობის საჭიროებაზე და ომზე; რომელიც სადაცაა დაიწყება ან უკვე კიდევ დაიწყო, პროვოკაციამ და პოლიციელების გავლენის დამკვიდრებამ პარტიის ცენტრშიც კი—ყველაფერმა ამან ნათლად მიჩვენა, რომ ამიერიდან კომუნისტურ პარტიას შეუძლია მხოლოდ დამამცირებელ და სასაცილო ავანტურებში გადაიხეოს პროლეტარიატის ყველაზე უფრო იდეალისტური, მებრძოლი და ყველაზე მეტად მოტყვილებული ნაწილი და მიიყვანოს იგი სრულ დამარცხებამდე.

ამ პირობებში მე არ შემეძლო გაჩუმება. დავტოვე პარტია და მოვალეობად მიმაჩნდა, მეთქვა რასაც ვფიქრობ მის პოლიტიკასა და მოქმედებაზე.

ბოლშევიკური მეთოდების ვაკატრემა.

რვა წლის განმავლობაში დაუღალავად ვმუშაობდი და ცხოვრების მიზნად მხოლოდ ერთი რამ მქონდა დასახული: მუშათა კლასის, მცირეთა და ჩაგრულთა გამარჯვება. რაც ვნახე, შევიწყალე და გავიგე საბჭოთა რუსეთში და ბოლო დროს აქ საფრანგეთში—ყველაფერმა გამაშკარავა ჩემთვის, რომ მე ვცდებოდი...

მე დღესაც ვიზიარებ იმ ბრძოლის იდეას, რომელმაც უნდა გაანთავისუფლოს მშრომლები და დამყაროს უკეთესი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც გაყვლეფა და ომი დამობილი იქნება; მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამის გახსნორციელება მოხდება არა კომუნისტური საშუალებებით, არამედ უფრო მალე იმ მეთოდების მეოხებით, რომლის ნიმუშს საერთოდ გვაძლევს ინგლისის მუშათა მოძრაობა.

ამ თუთხმეტიოდე წლის წინად ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე წერილი ასეთი სათაურით: «აზიელი მოგვი ევროპიელ ტენიკოსის წინაშე». გაზეთში მოთავსებულ ამბავს ადგილი ჰქონდა, თუ არ ვცდები. ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქის ცირკში. მოგვი-მისანი იმდენად დახლოვნებული აღმოჩნდა თავის ხელობაში, რომ დამსწრე საზოგადოების (ცხადია აზიელების) გაცეცხას საზღვარი არ ქონდა და პირდაპირ ბული შეპყრებდა მოგვის «სასწაულებს». მაგრამ მაყურებელთა შორის იყო ერთი ევროპიელი, შეიარაღებული ფოტოგრაფიული აპარატით, რომლითაც მან გადაიტანა ნეგატივზე აღნიშნული სასწაულები და მით ფარდა ახდა მისნის სხეულის სხვადასხვა ნაწილების მანიპულიაციას. ეს ძველი ამბავი მომაგონდა, როცა ვათვლიერებდი ერთის მხრით ტფილისის გაზეთებს «ზარია ვასტ», «კომუნისტს» და «რაბოჩაია პოავდას», რომელნიც ცხებიან საქართველოში ანტიპოლონურ «დემონსტრაციების» ჩატარებას და მეორეს მხრით ექვს ცალ სურათს, ერთი ევროპიელის მიერ ამ დემონსტრაციების ნეგატივზე გადატანილს. ოკუპანტების გაზეთების ცნობით. თითქმის მთელი საქართველო ფეხზე დამდგარა. ბანძა, ქედა, საქამიესური და ასე წარმოიდგინეთ, ოჩხამურიც კი შეძრწუნებულა. ტფილისი? აქ კი აღწოფოთება იწყება პროლეტარიდან და აღწევს მეცნიერპროფესორამდე. მარა ეს წყეული ევროპიელები და მათი ტენიკა! თუ მოგვს მოუსწრო სადმე, უეჭველად უნდა გამოამხეთროს მისი თვალთმაქცობა. რომ გაწბილებული არ დავგრჩე «დამ. საქართ.» პატივცემულ რედაქციის წინაშე, ამ სურათებს ამ წერილთან ერთად უგზავნი და თუ შესაძლებელი იქნება, რედაქცია მკითხველის წინაშეც პირნათლად გამოემიყვანს, თუნდაც სანიმუშოთ ერთი მათგანის მოთავსებით»).

12-15 ათასს აღწევდა თურნე დემონსტრანტთა რიცხვი. ვინ იცის, რამდენ გულუბრყვილო ევროპიელ კომუნისტს, მზგავსათ აზიელ თვალთმაქცის «პუბლიკისა», პირი დი დაუგრჩა და თვალები გადაღებრუნდა ამ ცნობებით, მარა ეს უსულო საგანი-ფოტოგრაფიული აპარატი—რა რიგ ამასხარავებს ამ ცნობებს! დიდი-დიდი რვაას სულს თუ აღწევდა ძალით მორეკილ დემონსტრანტთა რიცხვიო,—მეუბნება ჩემი ინფორმატორი. პატივცემული უცხოხლი, დამსწრე ბოლშევიკების ლაზლანდარობისა ტფილისში. ამ ცნობებს მიმოწმებს ფოტოგრაფიული სურათებიცაც. გადახედეთ ამ სურათებს და ნახავთ, რა რიგ სუარბობენ ქართულ სახეებს სხვა ჯურის და მოდემის სახეები. აბა ერთ ქართულ პლაკატს თუ შეამჩნევთ. ძირს პოლონეთი, პილსუდსკი, ნოე ჟორდანი და სხვა—სულ რუსულათაა. სიმბოლიური

*) სამწუხაროთ რედაქცია სხვა და სხვა მოსაზრებისა გამო, შეუძლებლად სთვლის ამ ფრიად საგულისხმიერო სურათების დაბეჭდვას.

ეს რუსული პლაკატები. ძველათაც და დღესაც სწორეთ ეს რუსული «პლაკატები» იბრძოდნენ და იბრძვიან პოლონეთ-საქართველოს წინააღმდეგ.

შიში გამოვსთქვი: ეგებ უცხოელმა ვერ გაიგო ოკუპანტების მახინჯია, რომ ის არას გზით ქართველი ერის გრძობების გამოძახებელი მოვლენა არ იყო.

მოსაუბრემ მიპასუხა:

—ქართველი ერის განწყობილება პოლონეთისადმი? განუხმელია მისი სიმპატია, როგორც განუხმელია თვით ქართველი ერის ტანჯვა-წამება. მის ფიქრს, მის აზრს, მის გრძობებს, მის იდეალს, მის გულისტკმას წარმოუდგენელი ბორკილები ადევს. მაგრამ ხერხი, გამბედაობა, თავისი სახის ისეთ პირობებში ასე მოხდენილათ და მოხერხებულათ ათამაშება—ეს შეუდარებელია. შემძლია ისეთი ფაქტები მოვიყვანო, რომლის წინაშე ადამიანმა ქედი უნდა მოიხაროს...

12-13 ივნისის დემონსტრაციები? ეს ხომ უხეში უშიშარსო, ქუჩური ლახლანდარობაა ნამდვილ, მაგრამ ღრმა სიმპატიით აღსავსე გრძობებთან შედარებით...

უდიდესი კმაყოფილება მქონდა ჩემს ცხოვრებაში საქართველოში ყოფნით. იქ შევიგრძნე და შევიცვარე ერის იდუმალი მისწრაფება-ზრახვანი...

ბევრი საინტერესო ამბავი გადმომცა საქართველოდან ჩამოსულმა უცხოელმა საქართველოზე, ამბები სანუგეშო და გამამხნეველები...

კახაბერი.

უკრაინის და კავკასიის საკითხი

«უკრაინის რესპუბლიკის არმიის» ინვალიდების წარმომადგენელი დაეწვრენ ინვალიდების ასოციაციების საერთაშორისო კონგრესს, რომელიც წელს გაიმართა ვარშავაში. უკრაინელთა დელეგაციამ მშვიდობიანობის კომისიას წარუდგინა ადრესი, რომელშიაც კონგრესის ყურადღება მიაქცია უკრაინის და კავკასიის რესპუბლიკების ოკუპაციას საბჭოთა ჯარების მიერ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში არ დამყარდება მშვიდობიანობა, ვიდრე ეს ქვეყნები არ განთავისუფლდება უცხოელთა ბატონობისაგან. სამშვიდობო კომისიამ მხარი დაუჭირა უკრაინელთა განცხადებას და შეიმუშავა რეზოლიუცია, რომელიც გამოსთქვამს თავის თანაგრძობას უკრაინის და კავკასიის დაჩაგრულ ერების მიმართ და მოუწოდებს ყველა ერის ინვალიდების ასოციაციებს მიაქციონ საზოგადოებრივი აზრის ყურადღება იმ მიმე მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებიან უკრაინა დი კავკასია. ეს რეზოლიუცია ერთხმად დაამტკიცა კონგრესის საერთო კრებამ.

ამ რამდენიმე დღის წინად პარიზში ტროკადეროს უზარმაზარ დარბაზში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი მშვიდობიანობისათვის, რომელიც მოაწყო

ახალგაზნდობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (La croisade de la jeun. intern. pour la paix). სხვათა შორის საქართველოს, ადერბეიჯანის და მთიულთა სახელით გამოვიდა ალი აქფერ თოფჩიბაში და განაცხადა: სამშვიდობიანო მუშაობას დიდათ აფერხებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ერები დამონებული არიან და მათი ტერიტორია უკავიათ უცხოელ ჯარებს; ესენი არიან ის ერები, რომელიც თავისუფალნი იყვნენ, რომელთა დამოუკიდებლობა განათლებულმა ქვეყნიერებამ იცნო და რომელიც აგერ ათი წელიწადია ებრძვიან თავის დამპყრობელს წითელ რუსეთს. ვიდრე არსებობენ დაჩაგრული ერები, მშვიდობიანობის საქმე ყოველთვის საფრთხეში იქნება.

უკრაინელითა შორის

უკრაინის სახლგრზე მდგომ ჯარში აღმოჩინეს შეთქმულება, რომლის მონაწილეთ უნდა დაეხრკათ უფროსი ოფიცრები, გაეტაცათ იარაღები და სამხედრო მოწყობილება და გადასულიყვენ უცხოეთში. მეთაურებს გადაუწყვიტეს ორს სიკვდილით დასჯა და ერთს ათი წლის დატუსალება.

კიევში დაატუსაღეს მრავალი უკრაინელი, განსაკუთრებით ინტელიგენტი. მათ აბრალებენ ანტიკომუნისტურ ორგანიზაციაში მონაწილეობას და კავშირს უცხოეთში მყოფ უკრაინელებთან.

ხარკოვის «ვისტის» სიტყვით, კიევში ჩეკამ აღმოაჩინა სეპერატისტული საზოგადოება, რომლის აღმოჩენას დიდი ხანია ცდილობდა. მეთაურებს დურდუკოვსკის, ბილევჩის და ნიკოლსკის აბრალებენ ურთიერთობას პეტლიურის მიმდევრებთან უცხოეთში და უკრაინის რუსეთისაგან გამოყოფის განზრახვას. საზოგადოებას დიდი ნდობა და თანაგრძობა ჰქონდა მოპოვებული ხალხში და მისი მუშაობა სწარმოებდა მეტის მეტად საიდუმლოთ. ბოლშევიკებმა მიმართეს ჩვეულებრივ იარაღს—პროვოკატორს, რომელიც ჯერ უცხოეთში გაემგზავრა და იქიდან დაბრუნდა კიევში. ამ საზოგადოების მონაწილეთა დატუსალებამ დიდი მღელვარება გამოიწვია და დემონსტრაციებიც კი იქნა მოწყობილი კიევის საპრობილეების წინ.

29 აგვისტოს მოვლენებმა

ოდენკურში, პრავაში და სხ. 1924 წ. აჯანყების მოსაგონარი კრებები გაიმართა. გამოტანილ იქნა რეზოლუციები, რომელთაც, სამწუხიროთ, უადგილობრისა გამო ვერ ვებუქდავთ.

Redaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.